საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

[illegible] № 139 (418) სამშაბათი, 28 ივლისი, 1992 წელი ფასი 2 მანეთი

ნუსხალ [illegible]

1 შეხვედრა საპატრიარქოში

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე საპატრიარქოში შეხვდა და ესაუბრა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს.

საუბარი, რომელმაც ორ საათს გასტანა, შეეხო როგორც საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს, ასევე საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობასთან დაკავშირებულ მწვავე საკითხებს, აგრეთვე ღირებულებათა გლობალური გადაფასების ვითარებაში ზოგადსაკაცობრიო მორალის, იდეალებისა და პრინციპებისაკენ ორიენტაციისა და საუკეთესო ქართული ტრადიციების შენარჩუნების ურთულეს ამოცანებს.

შეხვედრის დასასრულს კათალიკოს-პატრიარქმა დალოცა სრულიად საქართველო, ჭირთათმენის უნარი უსურვა ერს, ჯანმრთელობა და სულის მხნეობა — ერის წინამძღოლს კონფლიქტური სიტუაციების მშვიდობიანი გზით მოგვარების ურთულეს და უკეთილშობილეს საქმეში.

●

მწვანე დროშა სოხუმის თავზე

ჩვეული წითელი დროშის ნაცვლად, აი, უკვე რამდენიმე დღეა სოხუმის თავზე ფრიალებს მწვანე დროშა, ხალხს რომ ასე აშფოთებს. შემთხვევითი როდია, რომ ქრისტიანული აფხაზეთის მრავალი მცხოვრები ამაში დიდი ხნის „მინავლებული“ ისლამის ანარეკლს ხედავს. აგრეთვე შემთხვევით არ იწვევს მის ასოციაციას ისიც, რომ იგი აფხაზეთის უზენაესი საბჭოს შენობის თავზე გაჩნდა აფხაზურ-ადიღეური კულტურის მეორე საერთაშორისო ფესტივალის საზეიმო დახურვის დღეს, რომელზეც წარმოდგენილი იყო მთელი მაჰმადიანური ჩრდილოეთ კავკასია. ამ მოვლენას ძალაუნებურად უკავშირდება ადგილობრივ ხელისუფალთა ამასწინანდელი დადგენილებაც სოხუმის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მეჩეთის მშენებლობის შესახებ.

...საგანგაშო მდგომარეობაა ახლა აფხაზეთში. ყველას პირზე აკერია უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომის შედეგები, რომელზეც 23 ივლისს მიღებული იყო დადგენილება 1978 წლის აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, აღადგინეს 1925 წლის კონსტიტუცია, მიიღეს ახალი სახელწოდება — აფხაზეთის რესპუბლიკა, აფხაზეთის ახალი გერბი და დროშა.

ამ ნაჩქარევი და უკანონო, მოღალატური აქტით, რომელიც მიღებულია აფხაზეთის მცხოვრებთა უმრავლესობის აზრის გაუთვალისწინებლად, პარლამენტის ქართველი, და არა მარტო ქართველი, დეპუტაციის მონაწილეობის მიუღებლად, აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ და მისმა თავმჯდომარემ ვლადისლავ არძინბამ კვლავ მკვეთრად გაართულეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება რეგიონში.

ამასთან დაკავშირებით გაზეთ „აფხაზეთის ხმაში“ გამოქვეყნებულია ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ფრაქციის „დემოკრატიული აფხაზეთის“ განცხადება.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთი გზა დიალოგის გზაა, კომპრომისის გზაა, სხვა გზა არ არსებობს, რამეთუ ნებისმიერი სხვა გზა ადამიანთა გულს კი არ მოგვაგებინებს, არამედ დიქტატურასთან მიგვიყვანს

საქართველოს სახელმწიფო საბჭოში

დემოკრატიის კურსი უცვლელია

25 ივლისს განსაკუთრებული ხალხმრავლობა იყო დარბაზში, სადაც ჩვეულებრივ საქართველოს სახელმწიფო საბჭოს სხდომები იმართება. წინა საღამოს დასავლეთ საქართველოს რაიონებში მოგზაურობიდან დაბრუნდა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე. როგორც ცნობილია, სახელმწიფო საბჭოს წევრთა, მინისტრთა, ინტელიგენციის წარმომადგენელთა დიდ ჯგუფთან ერთად იგი ეცნობოდა ამ რეგიონის საქმის ვითარებას, ხვდებოდა და ესაუბრებოდა ადგილობრივ მოსახლეობას, რათა განესაზღვრა ვითარების ნორმალიზაციის გზები, რომელიც აქ ჯერჯერობით, სამწუხაროდ, საკმაოდ რთულია. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოგზაურობის შესახებ დეტალური ინფორმაცია ნიადაგ გადაიცემოდა ტელევიზიით, რადიოთი, ქვეყნდებოდა პრესაში, გასაგები იყო ჟურნალისტთა ინტერესი იმისადმი, თუ როგორ აფასებენ ვიზიტის შედეგებს თავად მისი მონაწილენი.

დღის წესრიგში, გარდა დასავლეთ საქართველოში გამართული შეხვედრების შედეგებისა, შეტანილი იყო მისი პოლიტიკური შეფასებაც, მაგრამ სხდომაზე გამოსულებს ედუარდ შევარდნაძემ უთხრა, რომ იგი მზად არ არის მოგზაურობის შედეგების ამგვარი შეფასებისათვის, ამას სჭირდება დრო, გააზრებული უნდა იყოს ყველაფერი, რაც მოხდა, გულდასმით გაანალიზდეს იგი. ჯერჯერობით კი, აღნიშნა მან, სჯა-ბაასი შეიძლება მხოლოდ შთაბეჭდილებებზე, იმაზე, რა უნდა ვქნათ, რათა გამოვიდეთ ამ რეგიონში შექმნილი კრიზისული სიტუაციიდან. მიუხედავად იმისა, რომ მოგზაურობის დროს არაერთხელ წავაწყდით დესტრუქციული ძალების მიერ დარაზმული თუ, რაც კიდევ უფრო შემაშფოთებელია, სხვადასხვა ჯურის შეიარაღებული ბანდების მხრივ განუკითხავი უკანონობისა და თვითნებობის გამო წონასწორობადაკარგული გარკვეული ჯგუფების აშკარად შეურაცხმყოფელ გამოხდომებს, ეს შეხვედრები აუცილებელი იყო, ხაზგასმით აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ, ჩვენ თავი არ აგვირიდებია ხალხთან დიალოგისათვის, თქვა მან, და ასეთი დიალოგები მეტწილად გაიმართა. ერთი რამ ცხადია: ხალხი ტრავმირებულია, ხალხი დაიღალა, ასეთ სიტუაციაში კი ძალიან ძნელია იმედოვნებდე, რომ ვითარების სტაბილიზაციისათვის განხორციელებულ ძალისხმევას მალე მოჰყვება პოზიტიური შედეგი, მით უმეტეს, რომ ჩვენ ჯერჯერობით აშკარად განვიცდით ადგილებზე მოქმედი ხელისუფლების დეფიციტს, არა გვაქვს სარწმუნო ინფორმაცია საქმეთა ვითარების შესახებ. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ამ რეგიონის მოსახლეობა პრაქტიკულად ინფორმაციულ ვაკუუმში აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, როგორც ედუარდ შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, აქ კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთი გზა დიალოგის გზაა, კომპრომისის გზაა, სხვა გზა არ არსებობს, რამეთუ ნებისმიერი სხვა გზა ადამიანთა გულს კი არ მოგვაგებინებს, არამედ დიქტატურასთან მიგვიყვანს.

მოგზაურობის შედეგების განხილვისას სახელმწიფო საბჭოს წევრები სავსებით ლოგიკურად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ამას სრულიადაც არ დაემთხვევია შემთხვევით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთის 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედების შეწყვეტისა და 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენის შესახებ და ამით უგულებელყო სახელმწიფო სამართლის ელემენტარული ნორმები. საგულისხმოა, რომ ეს საკითხი, რომელიც აგრეთვე სხდომის დღის წესრიგში იდგა, გახდა ლოგიკური გაგრძელება სჯა-ბაასისა იმის თაობაზე, რომ საჭიროა აქტიური ძალისხმევა მთლიანად რესპუბლიკაში ვითარების სტაბილიზაციისათვის, ნამდვილად დემოკრატიული საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში ქვეყნის მთელი მოსახლეობის კონსოლიდაციის გზების ძიება. სახელმწიფო საბჭომ შესაბამისი შეფასება მისცა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებას და მიიღო დადგენილება, რომლითაც ბათილად ცნო იგი.

სხდომაზე წაიკითხეს ოცდაათი პოლიტიკური პარტიის განცხადება, რომლებმაც განსახილველად შემოიტანეს საქართველოს პარლამენტის არჩევნების ახალი დებულება ორი თვის წინათ მიღებულის ნაცვლად. ამ საკითხზე დისკუსიამ გვიან საღამომდე გასტანა. შემდეგ გადაწყდა გაეგრძელებინათ იგი მომდევნო დღეს.

26 ივლისს მუშაობა განაგრძო სხდომამ, რომელსაც უძღვებოდა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა იოსელიანი. ჯერ კიდევ დისკუსიის განახლებამდე, სახელმწიფო საბჭოს მდივანმა ვახტანგ გოგუაძემ წაიკითხა ედუარდ შევარდნაძის წინადადება იმის შესახებ, რომ მიზანშეწონილია, მისი აზრით, მომავალ პარლამენტში საქართველოს თითოეული რეგიონის წარმომადგენლობის უზრუნველყოფა. იგი არ ესწრებოდა სხდომას იმის გამო, რომ მუშაობს 30 ივლისს საქართველოში თურქეთის პრემიერ-მინისტრის მომავალი ვიზიტისათვის მომზადების საკითხებზე. შემდეგ დაიწყო დისკუსია, რომელსაც ხანგრძლივი და მწვავე ხასიათი ჰქონდა. გამოითქვა სხვადასხვაგვარი, ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები, გაისმოდა მნიშვნელოვანი არგუმენტები ახალი დებულების პროექტის ცალკეული პუნქტების როგორც მხარდასაჭერად, ასევე წინააღმდეგ, რომელიც წარმოადგინა სახელმწიფო საბჭოს წევრმა ვახტანგ ხმალაძემ. იყო კატეგორიული გამოსვლებიც მთლიანად ამ დოკუმენტის წინააღმდეგ. საბოლოო ანგარიშით მიიღეს გადაწყვეტილება ერთი კვირით შეაჩერონ არჩევნების დებულების მოქმედება იმ ნაწილში, რომელიც შეეხება დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებას, რომელიც უნდა დაწყებულიყო 27 ივლისს. ამ ხნის მანძილზე სახელმწიფო საბჭომ უნდა განსაზღვროს ახალი დებულების პროექტისადმი თავისი დამოკიდებულება და მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

ორი თვალთახედვა ერთი მოვლენის გამო

შერიგებისას დამნაშავეს არ ეძებენ

ამირან ძალიძე

> „უთხრა მათ ესაიამ: ასე უთხარით თქვენს ბატონს, ასე ამბობს-თქო უფალი: ნუ გეშინიათ გაგონილი სიტყვებისა, რითაც მლანძღავენ აშურის მეფის მსახურნი“.
> მეოთხე მეფეთა, 19,6.

„კოლხეთს, კოლხ მოსახლეობას, სრულიად განსაკუთრებული როლი აქვს შესრულებული საქართველოს ისტორიაში. იგი ადრევე აღმოჩნდა ძველი მსოფლიოს ისტორიის სარბიელზე და თუ ამის გამო მას ბევრი რამ აქვს შეთვისებული ძველი ცივილიზებული ხალხებისგან, სრულიად გარკვეული წვლილიცა აქვს გაღებული ამ ხალხების სულიერი კულტურის ჩამოყალიბებისა თუ ტექნოლოგიური პროგრესის საქმეში“. (თეიმურაზ მიქელაძე, „ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან“, თბილისი, 1974 წ.).

ისტორიას ვიხსენებდით თბილისიდან სენაკს მიმავალი ქართველი ჟურნალისტები, ქართულ პრესაში მომუშავენი, უცხოეთის სააგენტოების აქაური კოლეგები და უცხოელი ჟურნალისტები. მივლინების მიზანი — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის ვიზიტის გაშუქება კიდევ ერთ „ცხელ წერტილში“ — სამეგრელოში.

შემდეგაც, უკვე იქ ყოფნისას ამოტივტივდებოდა ისტორიის ფრაგმენტები — ხან დასტურად ნანახისა და განცდილის, ხან (უფრო იშვიათად) როგორც კონტრასტი დიდებულისა დაკნინებულთან.

ნუ შეიბამთ კისერზე ქვას

უწინ სამეგრელოში, როცა ვინმე მოუკვდებოდათ, ქვას შეიბამდნენ კისერზე და ისე დადიოდნენ მგლოვიარობის გამოსახატავად.

ახლა ისა სურთ, დღევანდელი ხელისუფლების ოპონენტებს, მთელ ამ კუთხეს დაჰკიდონ კისერზე ქვა და იავარქმნის მორევში გადაუშვან გარანტირებული დაღუპვით. ასე თუ დაიკმაყოფილებენ საკუთარ ამბიციებს, რომლებიც ძალიან ჰგავს პოლიტიკურ სადიზმს.

მკაცრი და კატეგორიული შეფასებაა? იქნებ, მაგრამ, დამერწმუნეთ, ბუნებრივი რეაქციაა, აქ არსებული უკიდურესობებით ნაკარნახევი.

უკიდურესობანი...

ელდარ შენგელაიამ სენაკელებთან შეხვედრაზე გაიხსენა:

— გერმანულ კლასიკურ ფილოსოფიაში უკიდურესი შეხედულებანი ბოროტებასთანაა გათანაბრებული.

(დასასრული მე-2 გვ.).

ძალა დიადი იმედისა

პეტმარ აბაიშვილი

ჰაერში, მიწაზე, ცეცხლში...

როცა უკვე თვითმფრინავში ჩავსხედით და თბილისს გამოვემგზავრეთ, როცა ჩაცხრა ვნებათაღელვანი და ზემოდან გადმოვხედეთ სამეგრელოს დიდებულ სანახებს, — ფიქრი ვერ მოვიცილე — ნუთუ შეიძლება იყოს შესაძლებელი ის... რაც უკვე მოხდა?

ორი დღე — ჰაერში, მიწაზე, ცეცხლში... ცეცხლში კი არა, აგიზგიზებულ მუგუზლებზე. ყოველი მხრიდან ისმოდა წყევლა-კრულვა, გინება, იუდა-სატანას ძახილი, — წალენჯიხაში ხომ კინაღამ ხიფათსაც გადავეყარეთ. აგზნებულ, აღტკინებულ ხალხის მასას ერთი ბიძგიღა აკლდა და შეიძლება პროცესი უმართავი გამხდარიყო...

ვიზიტის ბოლო პუნქტი ზუგდიდი იყო. წინასწარი ჩანაფიქრით, აქ გამართულ დიალოგზე უნდა გადაეწყვიტათ ყველაზე საჭირბოროტო საკითხები, შეეჯერებინათ ორმხრივი კომპრომისის შესაძლებლობები და წამოეყენებინათ ორივე მხარისთვის მისაღები პირობები. სავარაუდოა, რომ იქ იქნებოდა საუბარი ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნებზე, პატიმრების ბედზე, სამეგრელოს რეგიონში დამწვარი ან დანგრეული სახლების სახელმწიფო ხარჯით აღდგენაზე, დაზარალებული რაიონების სოციალურ-ეკ-

(დასასრული მე-2 გვ.).



სურათებზე: ბატონი ედუარდ შევარდნაძე ხობის რაიონის ფირმა „კივის“ პლანტაციაში; სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ჩავიდა აბაშაში; ასეთია ორგანიზებული გაბოროტება, ასე აკარგვინებს ადამიანურ სახეს და მაკივრებად აქცევს.

ფოტო ხ. ელიზბარაშვილის (საქინფორმის ფოტოქრონიკა) და ა. ძალიძის („საქართველოს რესპუბლიკა“).

ნომერში

⊙ მხოლოდ შერიგება, მხოლოდ ერთიანობა გვიხსნის. 2

⊙ მალე გვექნება ეროვნული პასპორტი და ფული. 3

⊙ საჭიროა სიფრთხილე: რესპუბლიკაში ციმბირის წყლულის კერებია. 4

ერთობლივი სხდომა

27 ივლისს გაიმართა საქართველოს სახელმწიფო საბჭოსა და მთავრობის ერთობლივი სხდომა, რომელზეც განიხილეს ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმის მიმდინარეობისა და ეროვნული მეურნეობის ფუნქციონირების სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, აგრეთვე 1992 წლის იანვარ-ივლისის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საკითხი.

სხდომის ანგარიშს გაზეთის ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დადგენილება

„1978 წლის აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის მოქმედების შეწყვეტის შესახებ“ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს 1992 წლის 23 ივლისის დადგენილების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო აღნიშნავს, რომ 1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის ასსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად შეწყდა 1978 წლის აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის მოქმედება; ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე აღდგენილ იქნა 1925 წლის აფხაზეთის სსრ კონსტიტუცია ამჟამად მოქმედი საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ორგანოების შენარჩუნებით.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო მიიჩნევს, რომ აღნიშნულ დადგენილებაში მცდარად არის წარმოდგენილი საქართველოს რესპუბლიკისა და აფხაზეთის ასსრ სახელმწიფოსამართლებრივი ურთიერთობა საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს მიერ 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის აღდგენის დეკლარირების შემდეგ.

სსრ კავშირის დაშლას არ შეუცვლია და არც შეიძლებოდა შეეცვალა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრები და სახელმწიფოებრივი მთლიანობა, რაც დადასტურებულია გაეროს უშიშროების საბჭოს, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე და სხვა სახელმწიფოების მიერ, რომლებმაც აღიარეს საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტი.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს მიერ 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის აღდგენის გამოცხადებას არ შეუცვლია საქართველოს რესპუბლიკის საზღვრები და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა, აფხაზეთის ასსრ სტატუსი, რაც დადასტურებულია საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1992 წლის 21 თებერვლის დეკლარაციის პირველი პუნქტით.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს ხსენებული დადგენილება მიღებულია კონსტიტუციონალიზმის აღიარებული პრინციპების, კერძოდ, აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 162-ე მუხლის უხეში დარღვევით, რომელიც კონსტიტუციური საკითხების გადაწყვეტისათვის ითვალისწინებს დეპუტატთა ხმების კვალიფიციურ უმრავლესობას. დადგენილებით უგულებელყოფილია აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის უმრავლესობის ნება, დარღვეულია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმები და პრინციპები.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო აღნიშნავს, რომ აფხაზეთის ასსრ ხელისუფლებამ, რომელიც აქტიურად უნდა მონაწილეობდეს საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხების გადაწყვეტაში, ხსენებული დადგენილება მოამზადა და მიიღო საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებასთან კონსულტაციების გარეშე და შედეგებისათვის პასუხისმგებლობაც თვითონ უნდა იკისროს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო ადგენს:

ცნობილ იქნეს იურიდიული ძალის არმქონედ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს 1992 წლის 23 ივლისის დადგენილება „1978 წლის აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის მოქმედების შეწყვეტის შესახებ“.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე
ე. შევარდნაძე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მდივანი
ვ. გოგუაძე.

თბილისი. 1992 წლის 25 ივლისი.

პრესკონფერენცია აფხაზეთის უზენაეს საბჭოში

27 ივლისს სოხუმში, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა პრესკონფერენცია. ჟურნალისტების კითხვებს უპასუხეს დეპუტატებმა სერგეი შამბამ, ზურაბ აჩბამ, იური ვორონოვმა.

მათ განაცხადეს, რომ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს 1992 წლის 23 ივლისის სესიის მიერ აფხაზეთის 1978 წლის კონსტიტუციის შეწყვეტისა და 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე საქართველოს სახელმწიფო საბჭოს დადგენილება არაკანონიერია, რადგან თვით სახელმწიფო საბჭო არალეგიტიმურია.

შეკითხვაზე მიიღებს თუ არა აფხაზეთი მონაწილეობას საქართველოს პარლამენტის მომავალ არჩევნებში, დეპუტატმა სერგეი შამბამ უპასუხა, რომ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი იქნება ურთიერთობა საქართველოსა და აფხაზეთის ხელმძღვანელობას შორის. თუ საქართველოს მთავრობა ანგარიშს არ გაუწევს აფხაზეთს და უგულებელყოფს მის ინტერესებს, რასაკვირველია, არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებთო.

ამასთან ერთად დეპუტატებმა იმედი გამოთქვეს, რომ მომავალში გაიმართება შეხვედრები და მოლაპარაკებები საქართველოსა და აფხაზეთის ხელმძღვანელობას შორის. პრესკონფერენციაზე დეპუტატი იური ვორონოვი შეეცადა ჟურნალისტები დაერწმუნებინა, რომ სამეგრელოში ხდება მეგრელთა გენოციდი.

დეპუტატმა ზურაბ აჩბამ კი განმარტა, რომ ცალკეულ პირთა და ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულობებს გენოციდს ვერ ვუწოდებთო.

იოსებ გოგეჩია.

უკრაინის პრემიერ-მინისტრის ოფიციალური ვიზიტისათვის

ვიტოლდ პავლეს ძე ფოკინი

დაიბადა 1932 წელს. დაამთავრა დნეპროპეტროვსკის სამთო ინსტიტუტი, არის ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი. მუშაობდა ინჟინრად, ქვანახშირის მრეწველობის სხვადასხვა ქვეგანაყოფის ხელმძღვანელად, უკრაინის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების გამგედ, თავმჯდომარის მოადგილედ.

1971-1987 წლებში იგი იყო უკრაინის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ქვანახშირის მრეწველობის განყოფილების უფროსი, ამავე კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

1987-1990 წლებში — უკრაინის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე, ეკონომიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

1990 წლიდან იგი უკრაინის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეა, შემდეგ კი უკრაინის პრემიერ-მინისტრი.

ვ. პ. ფოკინი არის უკრაინის საშინაო ბაზრის დაცვის პროგრამის ინიციატორი, დამოუკიდებლობის პირობებში უკრაინის ეკონომიკის განვითარების კონცეფციის იდეოლოგი.

ჰყავს მეუღლე.

შერიგებისას დამნაშავეს არ ეძებენ

(დასასრული)

უკიდურესობათა უმძაფრესი დაპირისპირებით გამორჩეულმა ვითარებამ ათქმევინა. ასეა სენაკში, სხვაგანაც — აბაშაში, ხობში, მარტვილში, ჩხოროწყუში, წალენჯიხაში. აღმავალი სკალაა სიმძაფრის. აღმავალი კრიზისულ ზღვარამდე. სადაცაა გადაივლებს უკანასკნელ დანაყოფს და დაიწყება თვითმკვლელობის ეტაპი. თუ დაიწყო უკვე?

უკიდურესობანი — ჩვენი ყოფნა-არყოფნის დამოკლეს მახვილი — ეცემა როგორც გილიოტინა. მორჩილად დავუდოთ კისერი „პატრიოტული“ ლოზუნგების ძახილით?

სად არის გამოსავალი? როგორც ყოველთვის, ოქროს შუაგულში? „ა“ და „ბ“-ს შორის თანაბრად დაცილებული წერტილი? არა, რასაკვირველია: ჭეშმარიტება მარტივია, მაგრამ არა ამდენად პრიმიტიული. აქ ზუსტად გაანგარიშებული პოლიტიკის ოქროს კვეთის მონახვაა საჭირო — ოქროს პროპორციის, ჰარმონიული დაყოფის.

ეს უდიდესი და უძნელესი ხელოვნებაა: არც სათქმელადაა იოლი, გასაკეთებლად — უფრორე ურთულესი, საერთოდაც, და აქ კი განსაკუთრებით ქაოსი, რომელშიც პრაქტიკულად აღარც ჩანს სახელმწიფოებრიობის ელემენტები, სამრეკლოდან ჩამოგდებული გაბზარული ზარივით დამხობია კოლხეთს, დაუხუთავს სამეგრელო.

ზარი — „რვალის დიდი სარეკლო“!

ზარი — შეშფოთება, შეძრწუნება, ელდა!

გლოვაც!

ოჯახების ტრაგედიით გამძაფრებულ პოლიტიკურ სიტუაციაში, უკიდურეს დასკვნათა ემოციური იმპულსები შესაბამისი ამპლიტუდითა და გამუდმებით თავს ახლევინებს საზოგადოებრივ აზრს „დიდი სარეკლოს“ კედლებს.

ძნელია წონასწორობის შენარჩუნება: რა სიტყვამ უნდა დააუნჯოს, რა სამართალმა განსაჯოს, რა აზრმა განჭვრიტოს ხვალე?!

თანაც — დღეს, თანაც — დაუყოვნებლივ არაერთგვაროვანი, უმეტესად დაბნეული საზოგადოებრივი აზრის ფონზე, რომელსაც უმეტესად ემოცია და ხელმოცარული, მაგრამ ამბიციური „პოლიტიკოსების“ ტოტალური, ნეობოლშევიკური პროპაგანდის „ნაცადი ხერხები და მეთოდები“ აყალიბებს, ან ცდილობს (ძალიან ცდილობს) სათავისოდ ჩამოაყალიბოს.

და კიდევ: რა გულმა უნდა დაიტიოს ყველა ეს ტკივილი და მწუხარება?

მაგრამ უნდა დაიტიოს! თუ გაუძლებს.

• • •

ხალხი ფიქრობს ყველაფერ ამაზე, განიცდის. ლაპარაკობდნენ სამეგრელოში გამართულ შეხვედრებზეც, ტრიბუნებიდან, პირად საუბრებში. იქნებ იყოს სიმართლის მარცვლები ადამიანების ამ ნააზრევში. ყოველი წინადადების უკან პიროვნებაა — მინისტრი თუ გლეხი, პარტიის რეგიონალური განყოფილების ლიდერი თუ ადგილობრივი მმართველობის ხელმძღვანელი, ვეტერანი, ახალგაზრდა, პედაგოგი, ექიმი...

— ჭირისუფლები ერთმანეთს სამძიმარს არ უცხადებიან, ერთად ტირიან. ჩვენი გასაჭირი ერთად უნდა ვიტიროთ და ჩვენი გონიერებით გადავარჩინოთ საქართველო.

— დღეს საქართველოში თითქოს ყველა იცავს წესრიგს, მაგრამ ყველა არღვევს. არმიამ გარეშე მტერი უნდა მოიგერიოს ქვეყნიდან, წესრიგის დამყარება კი საქართველოს ფარგლებში პოლიციის საქმეა.

— ადრე ასეთ ყაჩაღებს აბრაგებს ვეძახდით — ყველას ყველაფერს ართმევენ. ყანაში დამადგნენ თავზე: — თოხნე ყანა და შენს მოსავალს ვინ წაიღებს, შემოდგომაზე განახებთო. ამას მოვითხოვ — შიში არ უნდა გვქონდეს დღეს. ეს მოგვიგვარეთ და დანარჩენი ჩვენზე იყოს.

— ლანძღვამ ტელევიზიასა და პრესაში ნაცვლად საფუძვლიანი ახსნისა, რომ იგი იყო უსუსური მმართველი, გაამწარა ისინი, ვისაც უყვარდა ექსპრეზიდენტი. ერთ კაცს ყველაფერი არ უნდა დავაბრალოთ. უმწიფარი პარლამენტი ჩვენ ავირჩიეთ, ჩვენი წილი ბრალი კისრად უნდა ვიღოთ ყველამ.

— ეს არის, თქვენ დაგიცავთო? ხომ ჩამიმტვრიეს კარი? რა უნდოდათ ამ უსულო საგნისგან? იყო „ავაზა“, გვარდია, „მხედრიონი“. ყველაფერი დაამტვრიეს და წაიღეს. განა არ მესმის, რომ ოჯახი უმახინჯოდ არ არის, ჩვენც ასეთმა მახინჯებმა დაგვარბიეს, მაგრამ გვითხარით, კონკრეტულად ვინაა მახინჯი და უგვანო, ვინ არცხვენს მამულიშვილების სახელს.

— კომუნისტური პარტია დღისი, ძართმევდა, ღამე მაინც მშვიდად ვიყავი. ჩიტს არ კლავენ ისე, როგორც კაცს კლავენ დღეს ჩვენში.

— პოლიტიკურ ამბიციებს ნუ შევწირავთ ხალხს, გამოვაცხადოთ პოლიტიკური ამნისტია.

— ხალხს აინტერესებს პური. პოლიტიკურ პარტიებს მიაჩნიათ, რომ საპროტესტო აქციები ღუპავს რაიონის ეკონომიკას.

— გაიძარცვა მოსახლეობა და ხალხი გადავიდა შურისძიებაზე, თვითგასამართლებაზე. სამეგრელოში ზვიადისტური მოძრაობა არ არის, შურისმაძიებლობაა.

— დღეს ყველამ ისწავლა ლაპარაკი. კი, ბატონო, პირველად იყო სიტყვა, მაგრამ საქმე ვინ უნდა აკეთოს? მოვეშვათ პოლიტიკანობას და საქმეს მოვკიდოთ ხელი. დღეს საქართველოში ძლიერდება ქალების გამამლების და კაცების გადედლების ტენდენცია.

— არჩევნები აუცილებლად უნდა გაიმართოს. ვინც მას ბოიკოტს გამოუცხადებს, ხალხის მტერია. ვამბობ ამას, თუმცა ეს სიტყვა — „მტერი“ არ მიყვარს.

ასეთია, თვალის ერთი გადავლებით საზოგადოებრივი აზრის კონკრეტული მახასიათებლები, გონიერ აზრს ვგულისხმობ და არა ისეთს, რომლის მოწმეც, ვთქვათ ასე, — თავისდაუნებურად გავხდა სენაკელთა (და ჩამოსულთა) ერთმა ნაწილმა აკაკი ხორავას ძეგლთან გავლისას, თეატრის შესასვლელთან. აღდგა შარშანდელი ოქტომბრის უგვანო სპექტაკლი, რომელიც ექსპრეზიდენტის ფანტაზიადაუშრეტელ რეჟისორთა ბრიგადამ ქალთა ქოროს მონაწილეობით ექსკლუზიურად გაუმართა სესიაზე მიმავალ ოპოზიციონერ დეპუტატებს თბილისის ქუჩაში. ვეღარ მოვიცილეთ ეს დისკომფორტი, რომელიც ჭიანჭველანაჭამ დათვს ემართება და აწუხებს, აბუტბუტებს, აბუყბუყებს, მოსვენებას უკარგავს. ერთი იგაა, გეოგრაფია შეეცვალა ჩვენს სირცხვილს — დედაქალაქიდან პერიფერიებში გადაინაცვლა, ბუნება იგივე დარჩა, ისეთივე ხისტი სიხეპრეა; და ცოტა მეტიც: „აპა, შენი ერი საქალეთია შენს წიაღში! ფართედ გაეღება შენს მტრებს შენი ქვეყნის კარიბჭეები, ცეცხლი შეუჭამს შენს ურდულებს“. (ნაუმ წინასწარმეტყველი, 3, 13).

• • •

ქალი ჭრელი კაბით. ეტყობა, პირადად მას უბედურება არ შეხებია, შავები არ აცვია. შუა ხანს გადაცილებული, მაგრამ ენერგიული ახალგაზრდულად, იმპულსური ჟესტიკულაცია, ჩახლეჩილი ხმა, თეთრი თვალები სიძულვილივით ცივი, თავგადაგლეჯით მოვარდნილა სადემონსტრაციო დავალების შესასრულებლად, გზადაკარგული თუ თავზედ[illegible]ული, ვისამე მიერ?

ეს ქალი (ყვირილით): — შევარდნაძე აქედან ცოცხალი არ უნდა წავიდეს!

— რატომ, ქალბატონო, რას ამბობთ?!

— რაც გაიგონე! (კივილი უმაღლეს რეგისტრში).

— რამ გაგამწარათ! მობრძანდით, მშვიდად ვილაპარაკოთ, ამიხსენით.

— წამოვალ, სადაც გინდა! (ბრბოს გაბიდულებით გადმოდგამს ნაბიჯს და უცებვე უკან დაიხევს). არსადაც არ წამოვალ, რა გინდათ ჩემგან! (ეს უკვე მოწოდებაა თანამზრახველთა შემოსაკრებად) ჰაა! ხალხი დახოცა, გააუბედურა!!!

— ვინ, ქალბატონო, შევარდნაძემ?

აქ ქალის პასუხები წყდება, რადგან მის მიერ მოხმობილთა მონაწილეობით იწყება რაღაც, რასაც მე ვერ ვიტყვი, რადგან ვერ ვიკადრებ. ვერ ვიკადრებ ამ უაზრო, შხამიანი, დაუნაწევრებელი სისინ-ყვირილისთვის სახელის დარქმევას, რადგან ეს არ არის სამეგრელო, რომელსაც აქამდე ვიცნობდი, და რამდენსაც უნდა ეცადონ მაკიკრები, აზრს და სიყვარულს ვერ შემიცვლიან, თუნდაც იმ „დალოცვით“, რომელიც დამადევნეს: შენც იმას მიგაყოლებთო.

ნეტავ აესრულებინათ ეს მუქარა და არ მენახა ცხოვრების დასალიერისკენ მიმავალ კაცს ეს წიოკი და გატიალება, ეს გაცუდება, წაბილწვა წმინდა ტრადიციებისა, რომლებიც განუმეორებელ კოლხურ ფენომენს ჰქმნიდა დღემდე.

მეორე დღეს ჩხოროწყუს აქტივისტთა შორის ვიხილე ეს ქალბატონი. იმანაც მიცნო, თვალი ამარიდა და ბატონ რომან გოცირიძესთან ჩაება „კამათში“, თუ კამათი ჰქვია იმას, რაც გუშინ სენაკში იკადრა.

წუხილით, სირცხვილით, თავზე ნაცრის დაყრით იტყვიან უკადრებლის კადრებაზე გონიერი სენაკელები იმ საღამოს. სად გაქრაო მანდილოსნის კდემამოსილება და თავდაჭერილობა მამაკაცის?

არც არსად, ბატონებო!

თვალდახრილი, თავაუწევლად, მძიმედ, ძალიან მძიმედ ადის სცენაზე ძაძებით მოსილი ქალბატონი ფაცია წულეისკირი — ძუძუდამწვარი დედა.

ტრიბუნასთან დადგა, სული მოითქვა, ბოდიში მოიხადა. შვილი მოუკლეს ბანდიტებმა, ფურნეში მომუშავე. ადრე მტერიც კი არ ახლებდაო ხელს მეპურეს.

და როცა ყველა ელოდა, რომ მოითხოვდა მისი გამაუბედურებლების დახვრეტას (როგორც მიგვაჩვიეს რუსთაველის პროსპექტზე თვეობით გაგრძელებული აქციების ჩამტარებლებმა), გაოცებულ დარბაზს შეევედრა:

— ჩემი შვილის მკვლელი ერთია, დანარჩენ ოთხს ნუ აწვალებენ, ცოდვები არიან, გაათავისუფლონო. მკვლელის დასჯის საკითხი კი ხალხმა თვითონ გადაწყვიტოს...

რა იყო ეს? „ვეფხისა და მოყმის“ ბალადის ახალი რეგისტრი, უმაღლესი? დედა სხვა დედების გაუბედურებისგან დამცველი? იმათი, ვისი შვილებიც, ასე თუ ისე, მისი ვაჟის მკვლელობაში იყვნენ გარეულნი. რა სიმაღლეა, რა ახალი ოთარაანთ ქვრივია!

— პირველი ჯილდო თქვენგან მივიღე, ბატონო ედუარდ, ახალგაზრდობაში. ახლა მუხლებზე დაჩოქილი ამას გევედრებით და ნუ გამაწბილებთო.

წამით გაირინდა დარბაზი, მოულოდნელობამ დამბლა დასცა თითქოს. მაგრამ — წამით, უცებვე ხელები შეაშველეს — წამოდექით, თქვენი ჭირიმე!

წამოაყენეს.

გმადლობთო.

სვენებ-სვენებით ჩამოდიოდა სცენიდან შვილმკვდარი დედა, სხვისი შვილის გადარჩენისთვის მზრუნველი.

რა გულმა უნდა გაუძლოს, მართლაც!

როგორ დაპატარავდნენ და დაქნინდნენ „ქუჩის მეამბოხენი“!

• • •

— **შერიგებისას** დამნაშავეს არ ეძებენ. შერიგებისას მთავარია იყო მიმტევებელი. ასეც ვფიქრობდი, ვფიქრობდი, რომ ვიქნებოდით ურთიერთმიმტევებელნი, — ასე დაიწყო საუბარი სახელმწიფო საბჭოს წევრმა პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

ძალა დიადი იმედისა

(დასასრული)

ონომიკური პრობლემების დაძლევის კომპლექსურ ღონისძიებათა შემუშავებაზე, ძმათამკვლელ ომში დაღუპულთა ოჯახების ერთდროული ეკონომიკური დახმარების, შეწყალების, სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებზე და სხვა. მაგრამ ზუგდიდში ვერ შევედით. არა მარტო იმიტომ, რომ შეხვედრის ადგილი, ქაღალდის კომბინატი, ვახტანგ ქობალიამ დაიკავა თავისი რაზმით და შეიძლება საქმე შეიარაღებულ კონფლიქტამდეც მისულიყო, არამედ იმიტომაც, რომ აფხაზეთის ამბებმა შევარდნაძე იძულებული გახადა სასწრაფოდ თბილისს გამომგზავრებულიყო.

— თუმცა არ დაგვირგვინდა ჩვენი ნარ-ეკლიანი გზა ზუგდიდში. სამაგიეროდ, ხელთა მაქვს ერთი ზუგდიდელი ინტელიგენტის წერილი, რომელშიც თითქოს განზოგადოებულია მთელი სამეგრელოს სატკივარი.

„24 ივნისის მოვლენებმა, ნაცვლად ვნებათა ღელვის დაცხრომისა, დაუმორჩილებლობის ახალი ტალღა წარმოშვა სამეგრელოში. არაოფიციალური შეიარაღებული ფორმირებები, რომლებიც ადრე მოკლებული იყვნენ მოსახლეობის მხარდაჭერას, დღითი დღე, უფრო მეტ მომხრეებს იძენენ, რაც პირდაპირი შედეგია „მხედრიონის“ მიერ გატარებული „პოლიტიკისა“. მეგობრებდაკარგული „მხედრიონის“ მებრძოლები მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკებითა და ძარცვით იოხებენ გულს... მოსახლეობას ძარცვავენ როგორც „შინაური“, ისე „მომხდური“ ყაჩაღები, და არავინაა გამკითხავი. განწყობა „შინაური“ ყაჩაღებისადმი შედარებით ლოიალურია, რადგან „გარეშეთა“ ყაჩაღური მოქმედება მეტი სისასტიკითა და შეურაცხყოფით გამოირჩევა... ალბათ, ზედმეტია იმის მტკიცება, რომ დამსჯელ ღონისძიებათა პროვოცირება სამეგრელოს მხრიდან მოხდა. მაგრამ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ დამსჯელ ღონისძიებათა გატარებას არასოდეს ჰქონია გამართლება. ბრძოლა საჭიროა არა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, არამედ ეროვნული საქმისათვის მებრძოლის სახელს ამოფარებული დამნაშავე ელემენტების წინააღმდეგ, რომელთა ნაკლებობა არ იგრძნობა არც ოფიციალურ და არც არაოფიციალურ სამხედრო ფორმირებებში. შესაძლოა ზოგიერთი ინფორმაცია მოსახლეობაში პროვოკაციულად ვრცელდებოდეს, მაგრამ ძირითადი ნაწილი აშკარად სიმართლეს შეეფერება“.

ასე ვრცლად იმიტომ მოვიტანე ამ წერილის ფრაგმენტები, რომ თითქმის ყველა შეხვედრაზე — მარტვილში, ხობში, აბაშაში, სენაკში, ჩხოროწყუში, ფოთში — ორატორები ამას იმეორებდნენ.

მკვლელობა, ძარცვა, გაუპატიურება, მანქანების გატაცება — უკანასკნელი დროის ყოველდღიური მოვლენებია სამეგრელოში.

სტუმართმოყვარეობა არასოდეს ყოფილა აბსტრაქტული ცნება ქართველი კაცისთვის, მაგრამ თუ სამეგრელოში ასე არასტუმართმოყვარულად დაგვხვდნენ, იმის ბრალია, რომ გაჭირდა და დაიჩაგრა უბრალო, უიარაღო მოსახლეობა. რა სავალალოა, რომ, ერთ დროს გზებზე სუფრის გამშლელი ხალხი, ლამის შარაგზის ყაჩაღებად ვიქეცით.

ვინ და რამდენად არის მტყუანი, ჯერ დასადგენია. სამეგრელოში დატრიალებული ტრაგედიის ფაბულა კი დაახლოებით ასეთია: ბოლო ექვსი თვის მანძილზე დაუმორჩილებლობის გამოცხადება, საყოველთაო გაფიცვები, საბოტაჟი, ლიანდაგების აყრა, ხიდებისა და გვირაბების აფეთქება, გზების გადაკეტვა, ტვირთების დატაცება. მარტო ტერორისტული აქტებით მიყენებულმა ზარალმა, საბოლოო ანგარიშით, თითქმის 12 მილიარდ მანეთს მიაღწია (საქართველოს წლიური ბიუჯეტი 27 მილიარდი მანეთიც კი არ არის). მარტო სომხეთმა 6 მილიარდი მანეთის ანაზღაურება მოითხოვა ამ აქციების გამო. დარბეულ და დატერორებულ მილიციას, რომლის პირდაპირი მოვალეობა იყო წესრიგის დაცვა, არც ძალა ჰყოფნიდა, არც ტექნიკური აღჭურვილობა და არც ხალისი. ამიტომ ბუნებრივია, ვერ უმკლავდებოდა ბანდიტებს. დამნაშავეობასთან ბრძოლის გადადება კი აღარ შეიძლებოდა.

ერთადერთი გამოსავალი იმ პერიოდისათვის დასავლეთ საქართველოში „მხედრიონის“ გაგზავნა იყო, რაც, ვფიქრობ, საბედისწერო შეცდომა აღმოჩნდა. იმათა სამართალდარღვევებმა და, როგორც წესი, სამეგრელოს რეგიონში ჩადენილი თითქმის ყველა დანაშაული „მხედრიონს“ მიეწერა.

წალენჯიხის თავდასხმამ და ალყამ დანაშაულობათა ახალი ტალღა შვა. ახლა ძნელია გაარკვიო — „ჯერ კვერცხი გაჩნდა, თუ ქათამი კვერცხისმდებელი“, სად არის მიზეზი, სად — შედეგი, მაგრამ დასკვნა ერთია — „მხედრიონის“ მიმართ წაყენებული ბრალდებების ათი პროცენტიც რომ იყოს მართალი, ეს საშინელი დარტყმაა სახელმწიფოსთვის, რომლის სტრუქტურებშიც იგი შედის.

არის ერთი უცნაურობაც — ვერაგულად მოკლეს კანდიდ გოგუა, სასწაულად გადაურჩა სიკვდილს და უკვე ოცი დღეა ტყვეობაშია მთლად მშვიდობიანი ვიცე-პრემიერი ალექსანდრე კავსაძე. სწორედ იმ ღამეს, როდესაც ჩვენ სამეგრელოდან გამოვემგზავრეთ, გაქურდეს მოსკოვ-თბილისის მატარებლის ოთხი ვაგონის მგზავრები.

„მხედრიონი“ კი კარგა ხანია გამოსულია დასავლეთ საქართველოდან.

ისეთ ხუმრობას რა ვუთხრა...

ხალხი დაქანცა გაუთავებელმა ბრძოლამ, ძარცვა-გლეჯამ, მკვლელობამ, ეკონომიკურმა ქაოსმა. სიმშვიდე მონატრა. ამიტომაც აღარ ცხოვრობს სამეგრელო ფუჭი ოცნებების ტყვეობაში. ამიტომაც ყოველ შეხვედრაზე სულ უფრო და უფრო სუსტად ისმოდა ერთ დროს ომახიანი შეძახილი „ზვიადი, ზვიადი“. თუ ვინმეს კიდევ შერჩა პოლიტიკური არაქათი — მათი უმრავლესობა ისევ ქალები არიან.

ითქვა კიდეც ერთ-ერთ შეხვედრაზე: პოლიტიკოსების ექსპორტი რომ შეიძლებოდეს, საქართველოს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდაო, რაც შემდეგ რამინ ახალაიამ დააკონკრეტა — როგორმე უნდა შევაჩეროთ ქალების გამამლებისა და კაცების გადედლების პროცესი, თორემ დავიღუპებითო.

ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობაა, მაგრამ იქნებ მართლა სჯობდეს პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტა იმ ადამიანებს მივანდოთ, ვინც სათანადო ცენზითაა აღჭურვილი? იქნებ ამით ცოტათი შევამსუბუქოთ საკუთარი ოჯახების ასე მძიმედ დატვირთული, გაჭახირებული ცხოვრება. თორემ ჩვენი პოლიტიკური განათლებით მედიდურობა და თავმომწონეობა ზოგჯერ აბსურდამდეც მიდის: რა იცის ბუშმა, რა იცის კოლმა, რა იცის მიტერანმა, ვიცი მე!

ისევ ამობრუნებული ჭოგრიტით?!

პატივმოყვარეობა, თავისთავად, ნაკლია კაცისა. უნიჭობასთან შეზავებული — ბოროტება. სახელმწიფოს სათავეში მდგომი პატივმოყვარე უნიჭო კაცი — ერის ტრაგედია.

შევარდნაძე პატივმოყვარეა. ოღონდ ნიჭიერი, უფრო ზუსტად — უნიჭიერესი. დაუძახეთ მას „თეთრი მელა“, მაგრამ აღიარეთ: ამ „განდიდების წყურვილით შეპყრობილი“ კაცის ნიჭიერებამ გაათავისუფლა აღმოსავლეთ ევროპა, გააერთიანა გერმანია, დაასრულა ავღანეთის სისხლისღვრაში ჩვენი მონაწილეობა, თავისი „ცბიერი“ ღიმილით გაალღო ყინული ამერიკასა და სსრკ-ს შორის და მსოფლიო ბირთვული ომის საშიშროება შეანელა. იგი იყო ერთ-ერთი იმ მესანგრეთაგანი, რომელმაც ნაღმი დაუდო ბოროტების იმპერიას და მისი ნანგრევებიდან გამობობღებას ცდილობს ახლა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო.

მის ხელში დაიწყო ჩვენი საერთაშორისო ცნობის ნამდვილი აღლუმი. ოცნებაც რომ არ შეგვეძლო, ისეთმა ქვეყნებმა გვცნეს უმოკლეს დროში. სულ მალე გაეროს წევრიც გავხდებით, მაგრამ 2 ივლისს მაინც ვერაფერი შეედრება: შევარდნაძის თავბრუდამხვევმა, იგავმიუწვდომელმა დიპლომატიურმა სვლებმა არათუ მოალბო ჩვენზე კბილებდალესილი რუსეთი, არამედ აიძულა ეცნო დამოუკიდებელი საქართველო თავისი ტერიტორიული მთლიანობით. 2 ივლისს დამთავრდა ბატონყმობა. უბატონო გახდა საქართველო.

ვის შეიძლება არ ეხატებოდეს გულზე მისი ესოდენ დიდი ავტორიტეტი, ვთქვათ, ამერიკულ ისტებლიშმენტში, ქართული ლობის გაძლიერება მსოფლიო ცენტრებში, შეღავათიანი სესხები, მომგებიანი კონტრაქტები, ათასნაირი დახმარებანი, საჩუქრები... ყველაზე დიდი კრედიტი კი, ალბათ, ნდობის კრედიტია, რაც შევარდნაძის გამო საქართველოს გამოუცხადა მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ.

დღეს უკანონო სახელმწიფო საბჭოს უკანონო თავმჯდომარეს რევერანსებს უკეთებენ ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფოების უკანონიერესი მეთაურები.

თუ თანამდებობაზე მიდგება საქმე, ისეთ საერთაშორისო პრესტიჟის მქონე მოღვაწეს, როგორიც შევარდნაძეა, გაეროს გენერალური მდივნობის ერთ-ერთ კანდიდატს, ჰარვარდის, ბოსტონის, პრივიდენსის, ატლანტის, ლოსანჯელესის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორს არ უნდა გაჭირვებოდა თუნდაც რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციას ჩასდგომოდა სათავეში, ბოლოს და ბოლოს ამ უკანონო თავმჯდომარეს, იმის კანონიერი უფლება მაინც ჰქონდა, განცხრომით მოესვენა ფლორიდაში, კანარის კუნძულებზე თუ შვეიცარიის ალპებში. საქართველოს პირობაზე ერთ-ერთი უმდიდრესი კაცი კი თავის კანონიერდოლარებიანად მაინცდამაინც დახლეჩილ, გაძარცვულ, ნერვებდაწყვეტილ, ცალქეტუჩა საქართველოში დაბრუნდა. თუმცა ისიც კარგად უწყოდა, რაც აქ ელოდა: თექვსმეტსაათიანი სამუშაო დღე, ნერვული სტრესები, ქვის სროლა, ფურთხი და ჭუჭყი.

დიახ, შევარდნაძეს ჰქონდა წარსულში ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით განპირობებული შეცდომებიც, მაგრამ საქართველოს დღევანდელ რეალობას ვერაფერ სიკეთეს მოუტანს, თუ მის შეცდომებს გამადიდებელი ლინზით ვუყურეთ, ხოლო მის ღირსებებს — ამობრუნებული ჭოგრიტით!

დიდი ჭორი პატარა ქალაქში იბადება

ცნობილია, რაც უფრო პატარაა ქალაქი, მით უფრო დიდი ჭორი იბადება იქ. რაც უფრო უაზროა ჭორი, მით უფრო იოლად იჯერებს მას ადამიანი. სამეგრელოში ყოფნისას ეჭვიც კი გამიჩნდა — ხომ არ არსებობს-მეთქი ჭორების გამავრცელებელი სპეცსამსახური?

— ხომ თქვენმა ტელევიზიამ გადმოსცა, რომ მეგრელები სუნიანები ვყოფილვართო, — დაჟინებით მიმეორებდნენ ჩხოროწყუში, მარტვილში, ხობში, სენაკშიც...

— ეგ გადაცემა პირადად თქვენ ნახეთ-მეთქი? — ვეკითხებოდი თითოეულ მათგანს. როგორ არ ვეცადე, მაგრამ მთელი სამეგრელოს შეურაცხმყოფელი ამ გადაცემის თვითმხილველი ვერა და ვერ ვიპოვნე.

შეხედეთ მეგრელის ოდას. მის ეზო-ყურეს, მის სუფრას, მისი პერანგის საყელოს, — არყით გალეშილ კაცს არ მოუტრიალდება ენა მსგავსი რამ წამოროშოს. არადა, ამ უაღრესად თავმოყვარე, მართლაც პეწენიკ, უფაქიზესი გემოვნების ხალხშიც არიან ისეთები, რომლებსაც გულწრფელად სჯერათ, რომ ასეთი მყრალი ცილისწამება საქართველოს ტელევიზიით გადმოიცა.

სხვადასხვა შეხვედრაზე საინფორმაციო საშუალებების მიმართ ითქვა სამართლიანი საყვედურიც, რისთვისაც გვმართებს ბოდიშის მოხდა. ჩვენ არცთუ იშვიათად ვხმარობთ გამოთქმას — „ექსპრეზიდენტის მომხრე ბანდიტები“, თუმცა ჯერ ვსაზღვრავდით, რომ ყველა ბანდიტი ექსპრეზიდენტის მომხრე არ არის და ექსპრეზიდენტის ყველა მომხრე — ბანდიტი.

აი, ეს ჭორი კი მარტო სამეგრელოში კი არა — ლიხს აქეთაც ხშირად მსმენია:

ეს „თეთრი მელა“ საქართველოში იმიტომ დაბრუნდა, რომ კომუნისტური რეჟიმი აღორძინოსო. როგორც მშვენივრად თქვა დღევანდელმა „დისიდენტმა“, ჩხოროწყუელმა რამინ ახალაიამ, კომუნიზმისა და კომუნისტური იდეალების დამარხვა საქართველოს პრეროგატივა არ ყოფილა. კომუნიზმის მესაფლავე მთელი მსოფლიო იყო. ამ ლეშის რეანიმაცია ვეღარ მოხერხდება, ხოლო მისი საფლავიდან ამოღება მხოლოდ ააყროლებს ჩვენს სურნელოვან საქართველოს. ამიტომ კომუნიზმის საზარელი მოჩვენებით მაინც ნუ გაიფრთხობთ ძილს, ბატონებო!

აი, კიდევ ფორმით უმიამიტესი და შინაარსით უმზაკვრესი ჭორი: გამსახურდია, თურმე, იმიტომ ჩამოუგდიათ, რომ იგი მეგრელი იყო და მეგრელებს ქომაგობდა.

უკუღმართობას მართლაც არა აქვს საზღვარი.

მე მინდა ვკითხო მარტვილელ ზურაბ გალდავას ან სენაკელ შვიდი შვილის დედას დოდო გულიავას — რისთვის გიყვარდათ და გიყვართ ზვიად გამსახურდია, ხომ იმისთვის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება უნდოდა?

ოცნება ახდენილია. დამოუკიდებლობა მოპოვებული გვაქვს.

განა თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის მნიშვნელობა არა აქვს, ვინ უფრო კარგად გაართმევს თავს ახალი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას — ნადისიდენტარი გამსახურდია თუ ნაკომუნისტარი შევარდნაძე?

თუ ორნი აკეთებენ ერთსა და იგივეს, ეს ერთი და იგივე როდია. უბრალოდ, ზოგიერთი საქციელი სხვა საქციელს სჯობს.

რა თქმა უნდა, ჩვენში დღეს არც არის და არც შეიძლება იყოს დემოკრატია ამ სიტყვის სრული გაგებით, რადგან იგი ემბრიონშია, ჩანასახშია და, უნდა ვივარაუდოთ, ძალზე ძნელი მშობიარობა მოელის... მთავარია, დასახულია ტენდენცია, რომელსაც არ ეღალატება.

ჩემი ღრმა რწმენით, გამსახურდიას მმართველობა ფრიად სასარგებლო იყო საქართველოსთვის. ეს გახლდათ მნიშვნელოვანი ეტაპი ჩვენს ისტორიაში, კარგი მაგალითი იმისა, რაზე გვეთქვა უარი.

ახალმა გეზმა რომ დაგმო ტოტალიტარიზმი, დიქტატურა, კერპთაყვანისმცემლობა, დილეტანტიზმი მმართველობაში — ეს უკვე სხვა ეტაპია.

რამდენად ზნეობრივი იყო ყოფილი პრეზიდენტის მმართველობიდან იარაღის ძალით ჩამოცილება, ამას მომავალი განსჯის, ისევე როგორც იმას, რამდენად ზნეობრივია მისი დღევანდელი დუმილი, როცა საქართველო ცეცხლის ალშია გახვეული. რაც შეეხება ბატონ ზვიად გამსახურდიას სიყვარულს და ერთგულებას, ეს თქვენი გრძნობების ავტონომიური სფეროა და ამ სფეროში ხელების ფათური ყველაზე დიდი უზნეობაა. ოღონდ, თქვენც კარგად იცით — ამქვეყნად ერთადერთი მარადიული ღირებულება მაინც მამულის სიყვარულია, დანარჩენი კი — ცვალებადი და მარად მედინი.

მიუხედავად იმისა, რომ მართლაც აგიზგიზებულ მუგუზლებზე სიარულს ჰგავდა ჩვენი მოგზაურობა სამეგრელოში — თან გვდევდა წყევლა-კრულვაც, ათასნაირი შეურაცხყოფაც, ავადმყოფური პროცესებისკენ წაქეზებანიც, დარწმუნებული ვარ, რომ ეს იყო ერთი ღონიერი ნაბიჯი ჩვენი ერის გამთლიანების გზაზე. მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ სწორად აღიქვა და გაითავისა მთავრობის დელეგაციის იქ ჩასვლის მიზანი და პროგრამა. ქუჩაში პირქუშ შეხვედრებს, როგორც წესი, აუდიტორიებიდან ღიმილიანი გაცილება მოჰყვებოდა ხოლმე.

აღარაფერი არ დავუთმოთ!

ეროვნული ერთიანობის საბჭოს აღმასკომის წევრის, აფხაზეთში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საგანგებო რწმუნებულის ბორის კაკუბავას გაზეთ „აფხაზეთის ხმაში“ გამოქვეყნებული სტატია „უკვე დასათმობი არაფერი გვაქვს“ მკითხველთაგან არავის არ ტოვებს გულგრილს.

ეხება რა აფხაზეთში მიმდინარე უკანასკნელ ამბებს, იგი, კერძოდ, წერს, რომ 1992 წლის 23 ივლისს აფხაზმა სეპარატისტებმა დაასრულეს ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს დანაწევრებისთვის მრავალწლიანი ბრძოლის ეტაპი.

საქართველოს მთავრობა, წერს შემდეგ ავტორი, გვთავაზობს აფხაზთა მიმართ განვახორციელოთ დათმობათა პოლიტიკა. ჩვენ კი უკვე მერამდენედ ვუპასუხებთ: „უკვე აღარ ვიცით, რა დავუთმოთ, რაღა დაგვრჩა კიდევ დასათმობი!“.

ბორის კაკუბავა შემდეგ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყველა აქაური პრობლემის გადაჭრა შეიძლება უსისხლოდ, ოღონდ მოინდომოს ქართველმა ხალხმა. ამისთვის უნდა განვუცხადოთ აფხაზეთის მთავრობას, რომ არ დავემორჩილებით მას, რომ მოვითხოვთ მის დათხოვნას და მთავრობის ახალი დემოკრატიული არჩევნების გამართვას. მანამდე, მისი აზრით, უნდა მოვიწვიოთ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთა ყრილობა. იგი აირჩევს ხელმძღვანელ ორგანოებს, რომლებიც უფლებამოსილი იქნებიან მიიღონ საარჩევნო კანონი, რათა მოეწყოს დემოკრატიული არჩევნები.

აჭარა პოლიტიკური კონსოლიდაციის მომხრეა

საქართველოს პოლიტიკური ძალები აქტიურად ემზადებიან მომავალი პარლამენტის არჩევნებისთვის. ამასთან დაკავშირებით ის პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები, რომელთაც საერთო პრინციპები აქვთ, ერთიანდებიან წინასაარჩევნო ბლოკებში. ერთ-ერთი ასეთი ბლოკია „მშვიდობა“, რომელიც ჩამოყალიბდა საქართველოს დემოკრატიული კავშირისა და საქართველოს სამართლიანობის პარტიის ბაზაზე. „მშვიდობის“ ბლოკს 25 ივლისს შეუერთდა აჭარის აღორძინების სრულიად საქართველოს კავშირი, რომელსაც ხელმძღვანელობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ასლან აბაშიძე. ბლოკში გაერთიანების შეთანხმებას „მშვიდობის“ სახელით ხელი მოაწერა მისმა სპიკერმა ავთანდილ მარგიანმა.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ედუარდ შევარდნაძეს

სამეგრელოში ეროვნული მისიით თქვენი ყოფნისას ზოგ-ზოგთა უზრდელობისთვის გიხდით ჩემს წილ ბოდიშს. გაუმარჯოს ერთიან საქართველოს!

ომარ ჩიტაია,
ჟურნალისტი.

ჭამა ქონებაზე ჰკიდია, ქონება — მუხლჩაუხრელ შრომაზე

ქართველი ფერმერის პირველი მოსავალი

ნაზი იმნაიშვილი, „სრ“ სპეც. კორ.

უყოფილხართ სოფელში? გიგრძვნიათ ახლად გალეწილი ხორბლის სურნელება, ბზის სუნი და მიწის ოხშივარი? გისაუბრიათ პირგაუპარსავ, სახეზე მტვერდადებულ და ხელებგაშავებულ კომბაინერთან? მაშინ შეიცნობდით დედამიწის სიდიადეს, მის სუნთქვას, დიდი პატივისცემით განეწყობოდით კომბაინერის მიმართ და მარჯვენას დაულოცავდით.

...მე კომბაინერს ფოლადის მდნობელს ვადარებ. ერთი ადამიანისთვის ამზადებს პურს, მეორე — მრეწველობისთვის. გულსატკენია, რომ მათ სათანადოდ ვერ ვაფასებთ, ეგ კი არა და ორიოდე თბილი სიტყვა მინდა ვთქვა სიღნაღელ მექანიზატორებზე, იმ გულღია და ალალმართალ ადამიანებზე, რომლებსაც ამ დღეებში სამკალში შევხვდი და, ვინ იცის, იქნებ ესეც არ მოხერხდეს...

სიღნაღის რაიონის მიწათმოქმედებმა პირველებმა დაიწყეს მკა. აქ მარცვლეულის უხვ მოსავალს ელიან.

ალაზნის ველზე ოქროს ფერმა იმძლავრა, პირველი კომბაინები უკვე გავიდნენ ვაქირის, ბოდბის ხევის, ძველი ანაგისა თუ სხვა სოფლების ყანებში.

ალაზნის ველზე დილიდან გვიან ღამემდე ისმის კომბაინებისა და სატვირთო მანქანების გუგუნი. სულაც არ ეუცხოება აქაურობას ტექნიკის ასეთი ხმაური. უცხოა მხოლოდ ის, რომ გასულ წლებში პურეულის მოსავალი მეურნეობას ეკუთვნოდა, ახლა კი მისი ბატონ-პატრონები კერძო პირები — კომერციულ-სამრეწველო ფირმის „ბოდბისხევის“ წევრები არიან, რომლებიც ტოლს არავის უდებენ ალაზნის ველზე მეშვილე მინდვრებში. როგორც ფირმის დირექტორმა გელა გელაშვილმა თქვა, ქერის მოსავალსაც კარგი პირი უჩანს. 700 ჰექტარიდან საშუალოდ გალეწილია 35 ცენტნერი მარცვალი, გვითხრა, რომ პურის ყანებში ყოველდღიურად 7 კომბაინი და 10 სატვირთო ავტომანქანა იმუშავებს.

საუბარში სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოადგილე გია პავლიაშვილი ჩაერია:

სიღნაღელი მექანიზატორების სანაქებო საქმეები...

— მოსავლის აღება, — ამბობს ბატონი გია, — რაიონის თითქმის ყველა მეურნეობაში და ფირმაში მასობრივად მიმდინარეობს. წლეულ თავთავიანების მოსავალს 13465 ჰექტარზე ავიღებთ. უკვე მომკილია 1146 ჰექტარი, საიდანაც 2790 ტონა მარცვალი მივიღეთ, მიმდინარეობს აგრეთვე სილოსისა და ნამჯის დამზადება. გარდა ამისა სენაჟი ჩადებულია 11880 ტონა, დაზვინებულია 323 ტონა თივა და 985 ტონა ბზე.

არც კი ვიცი, როგორ შევაქო ჩვენი მექანიზატორები, რომ იცოდეთ, სახლიდან შორს ყოფნისა და საწვავის ნაკლებობის გამო ისინი თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში მინდორში არიან, ვეცდებით შევუქმნათ შრომისა და დასვენების ნორმალური პირობები, მათ განკარგულებაშია კეთილმოწყობილი საზოგადო სახლები, აქვთ სამჯერადი კვება, მაგრამ ოჯახი მაინც ოჯახია...

განსაკუთრებული შრომის ნაყოფიერებით გამოირჩევიან მექანიზატორები ბიჭიკო იასეშვილი, ვაჟა ფირაშვილი, გია კოჭლამაზაშვილი, გელა ზენაშვილი, ზაურ აბულაშვილი და სხვანი.

წეღან ვახსენე და ბოლომდე ვერ ვთქვი, რაიონს ძალზე აკლია-მეთქი საწვავ-საპოხი მასალები. დახარჯულის მხოლოდ 20 პროცენტი მივიღეთ ნავთობბაზებიდან, დანარჩენი კი, რაც წლეულს დაგვეხარჯა, საკუთარი სახსრებით შეიძინეს მეურნეობებმა და ფირმამ. საპოხი მასალები საერთოდ არ მიგვიღია წელს, აღარაფერს ვამბობ სათადარიგო ნაწილებზე.

როგორც ვხედავთ, ობიექტური სიძნელეები ნამდვილად არსებობს, მაგრამ მიუხედავად ამისა, სიღნაღელები, როგორც ყოველთვის, თავს არ შეირცხვენენ და წარმატებით დაამთავრებენ ალოობას, თქვა ბოლოს სამმართველოს უფროსის მოადგილემ.

ვესაუბრე ტიბაანელ ნიკო ნატროშვილს, რომელიც 35 წელია მძღოლია, მის მანქანას საწვავი დააქვს მექანიზატორებთან მინდორში. დაკოჟრილ, ნაჯაფ ხელებს რომ მიჩვენებს, ვხვდები, ასეთ კაცს სიტყვა დაეჯერება:

— ალოობის დროს, — ამბობს იგი, — გაჭირვება ბევრი მინახავს, მაგრამ წლევანდელზე მძიმე წელი ნამდვილად არ მახსოვს. ჩვენს კოლმეურნეობას საწვავი საერთოდ არა აქვს, ამიტომ ხან საიდან ვეზიდებით, ხან საიდან, მესმის, რესპუბლიკაში საწვავის მწვავე დეფიციტია საერთოდ, მაგრამ მიმაჩნია, რომ დღეს კახეთს ასე არ უნდა უჭირდეს, რადგან ჩვენ ყველაზე ძვირფასი მოსავლის — ხორბლის აღებაზე ვმუშაობთ.

თქვენ თუ თბილისიდან მანქანით ჩამობრძანდით, ნახავდით, რომ ყოველ ფეხის გადადგმაზე (ნუთუ სხვაგანაც ასეა?) ბენზინსა და ავტომანქანის ზეთს ყიდიან. თანაც — მამასისხლად. ყიდიან პირდაპირ ტროტუარებზე, ავტობუსის გაჩერებებთან, სადაც ხალხი იყრის თავს. ნუთუ არავინ დაფიქრდა მოსალოდნელ ხანძარზე, უბედურ შემთხვევაზე? ანდა, საიდან აქვთ ამდენი ბენზინი? იოლი გამდიდრების სურვილით შეპყრობილი ადამიანები საკუთარ სიცოცხლესაც საფრთხეში აგდებენ. ერთი სიტყვით, გზებზე, ბენზინის ბუმია, ხორბლის მოსავალი კი ლამის მინდორში დაგვრჩეს. რატომ, ვისაც ეს ეხება, არ აქცევს ამ საკითხს სათანადო ყურადღებას? მარტო ერთი კაცი ყველაფერს ხომ ვერ გაწვდება?

მოსავლის აღებაში ღალატი ერის ღალატის ტოლფასია...

ნამეტანი დამაფიქრა ბატონი ნიკოს ამ სიტყვებმა, მოვდივარ და მოსვენებას არ მაძლევს ის აზრი, რომ ბენზინი შეიძლება არის და მომკელს არ აძლევენ. ნუთუ მართლა არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუშალონ კომბაინერს, რომელმაც უნდა მოგვკას პური ჩვენი არსობისა.

ნუ მოგვაკლდებოდეთ ხვავი და ბარაქა, ღმერთი იყოს თქვენი შემწე, ქართველო ფერმერებო, მჯერა, ბევრი მიმდევარი გეყოლებათ.

ინფორმაცია

პოლიტიკურ პარტიათა შეკრება

ჩატარდება თუ არა არჩევნები, სასიცოცხლო საფრთხე ხომ არ ემუქრება საარჩევნო ურნასთან მისულ ამომრჩეველს, როდისღა შეიქმნება ეროვნული არმია, რომელშიც გაერთიანდება შეიარაღებული ფორმირებები და როდისღა გაუმჯობესდება კრიმინოგენული ვითარება... ეს საკითხები დააყენეს მწვავედ და ერთიანი პოზიცია გამოთქვეს ძალადობისა და უკანონობის აღსაკვეთად 26 ივლისს საქართველოს მწვანეების ინიციატივით შეკრებილმა რესპუბლიკაში მოქმედმა პოლიტიკურმა პარტიებმა. შეკრებაზე ხაზგასმით გამოითქვა აზრი, რომ ყველა შეიარაღებული ფორმირება, პოლიციის გარდა, შევიდეს ყაზარმებში და მათი წევრებისათვის შეიქმნას ნორმალური პირობები, დანაშაულობებთან ბრძოლა კი განახორციელოს მხოლოდ პოლიციამ. აქვე, საქართველოს სოციალური სამართლიანობის კავშირის თავმჯდომარემ, ბატონმა არჩილ იოსელიანმა გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ მხედრიონსა და გვარდიას მიეცეს წინადადება თბილისსა და მის შემოგარენში მათი განთავსების შესახებ, ხოლო ნაწილი მხედრიონელებისა და გვარდიელებისა გაერთიანდნენ სამოქალაქო პირებისაგან შემდგარ სახალხო ლაშქრად.

პოლიტიკური პარტიების განცხადება, რომლის პროექტს უკვე გაეცნო სახელმწიფო საბჭო, პირველ რიგში ითვალისწინებს საქართველოში მოქმედი ყველა შეიარაღებული ფორმირების ერთიანი ხელმძღვანელობის დაქვემდებარებას ეროვნული უშიშროების საბჭოსადმი, რომლის შემადგენლობაში შევლენ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, პრემიერ-მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი, საინფორმაციო-სადაზვერვო სამმართველოს თავმჯდომარე, ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი სრული შემადგენლობა განსაზღვროს სახელმწიფო საბჭომ.

●

საქმიანი შეხვედრები

ახლახან საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვალერიან ადვაძე აჭარას ეწვია. გაიმართა საქმიანი სჯა-ბაასი ხულოს, შუახევის, ქედის, ქობულეთის, ხელვაჩაურის და ბათუმის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

ამასთან, აღნიშნულ ქალაქებსა და რაიონებში მოეწყო ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის დამფუძნებელი კონფერენციები.

აჭარაში ბატონ ვალერიან ადვაძესთან ერთად მოგზაურობდნენ ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბატონი რ. ქონიაძე და საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის აჭარის საოლქო გამგეობის თავმჯდომარე ბატონი რ. მანველიძე.

●

წერილი რედაქციას

რაზედაც ვწერ...

პატივცემულო ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით შესაძლებლობა მომცეთ კიდევ ერთხელ ღიად და ცალსახად დავუდასტურო მკითხველს: ყველაფერი ის, რაც ჩემს ბროშურაში „სისხლიანი პარასკევი“ წერია 1956 წლის 9 მარტს თბილისში მომხდარი მასობრივი ხვრეტის შესახებ, სიმართლეა. რაზედაც ვწერ, ვნახე-მეთქი, ის მართლა ვნახე; რაზედაც ვწერ, მიამბეს-მეთქი, ის მართლა მიამბეს; რაზედაც ვწერ, ვვარაუდობ ან ვასკვნი-მეთქი, იმას მართლაც ვვარაუდობ და ვასკვნი. ჩემი წიგნის მიზანია, შთამომავლობას შევუნახო იმის სწორი მოგონება, რაც მოხდა, და ჩემს ერს ეს მწარე გამოცდილება არ დავუკარგო. ბინძური პასკვილი სათაურით „გამოგონილი მოგონება“, რომელიც თქვენმა გაზეთმა დასტამბა, მე კი არ მაყენებს შეურაცხყოფას, არამედ 9 მარტის 800-1200 მსხვერპლის წმინდა სისხლს.

პატივისცემით
ნოდარ ნათაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალი გადახდილია

თენგიზ ბუაჩიძე

მკითხველს მოკლედ შევახსე-ბ, ამ შვიდიოდე წლის წინ რომ ვწერდი:

„ასი წლის წინათ ქრისტეფორე მაცაშვილი „დროების“ რედაქციას მიმართავდა: **„სასიამოვნოა ყოველი მამულის შვილისათვის ...ობ ის თანაგრძნობა, რომელიც ...მოაცხადა ჩვენმა ქვეყანამ იმ ...ცისადმი, რომელმაც თავისი ...ცოცხლე შესწირა ჩვენს ძველი ...ტერატურის შესწავლას და ...აცვანა როგორც ჩვენ, ისე ...თელს ევროპას, იმის ღირსება ...ა სიმდიდრე... უბროსსეოდ ჩვენ ...რ გვექნებოდა ის ცოტა გაგე-...ც ჩვენს წარსულ ისტორიულ ...ოვრებაზე, რომელიც ეხლა ...ქვს და რომელიც ყოველის ...ით ღირსშესანიშნავი არის... ...როსსეს გულითა და სულით ვუ-...არდით და ამისთვის ჩვენ მო-...ლენი ვართ, არ დავივიწყოთ ... ჩვენი პირდაპირი მოვალეო-... იქნებოდა, აგვემართა მარი ...როსსესთვის ძეგლი, მაგრამ რა-...განაც ჩვენი სიღარიბე ამის ნე-...ბ არ გვაძლევს, ამისათვის ეს ...განდოთ ჩვენს შთამომავლო-...ბ“...**

ჩვენ მოგვმართავს ქრისტეფორე მაცაშვილი! ხოლო თუ ეს ასეა, ... უფლება გვაქვს ზნეობრივი ...ლის დავიწყებისა იმ ადამიანის ...მართ, რომელმაც სიცოცხლე ...სწირა საქართველოს ისტორიის, ...ისა და ლიტერატურის შესწა-...ვლასა და გამომზეურებას? ...წინაპრების მიერ ჩვენზე მონ-...ბილი ვალი კვლავ კისრად გვა-...ვს.

კიდევ გადავდოთ ოცი წლით? ქართველებო, ვალს გადახდა ...და“...

ასე პათეტიკურად ვწერდი ამ ...დიოდე წლის წინ.

...ასრულდა!

ვალი გადახდილია.

ჩვენმა სახელოვანმა მოქანდა-...მ ჯუნა მიქატაძემ დაასრულა ...როსსეს პორტრეტი.

მე ვნახე ის თაბაშირში.

ბრძენი ევროპელი ინტელიგენ-..., ფრანგული სიკოხტავით გა-...ბილი წვერ-ულვაშით, მოაზ-...ვნის მაღალი შუბლით, წარსუ-...ისკენ მიმართული ფიქრიანი ...ერით, კეთილი და სულით მდი-...არი ადამიანი, რომელმაც მშო-...ბლიურივით შეიყვარა სხვა ერი ... მთელი სიცოცხლე მისი წარ-...ლის ასახვასა და აღდგენას, ...ს სულიერი ნამოქმედარის შე-...ავლასა და მსოფლიოში მოფე-...ს უძღვნა...

მადლობა, ღმერთს, ზნეობრივი ...ლი გადახდილია.

ვისურვებდი, რომ ამ შესანიშ-...ვი ადამიანის ბიუსტი, ჯუნა მი-...ქატაძემ რომ საუცხოოდ გამოა-...ძერწა, დაიდგას ბროსსეს სახე-...ობის ქუჩის ახლო მცირე სკვე-...ში და ეს ადგილი იქცეს წმინდა ...ვანედ, სადაც ყველა ქართველი ...ლითად მადლობას მიაგებს ამ ...ანგ ადამიანს, ზოგიერთ ქარ-...ველზე უფრო ქართველს, ჩვენ ...მ უანგაროდ მოგვიძღვნა თა-...ვისი ნიჭი, გონება და გული...

ვისურვებდი, რომ ჩვენი დედა-...ქალაქის ხელმძღვანელობამ უსწ-...რაფესად აღემართა ეს ძეგლი ...როსსეს სკვერში.

გულითადად მივესალმები მუ-...ე ბროსსეს, მარი ფელისიტე ...როსსეს, დაბრუნებას მის საყვა-...რელ ქალაქში, — სამუდამო და-...ბრუნებას!

დარწმუნებული ვარ, რომ ეს ...გილი ყველა აქ ჩამოსული ფრა-...ნგისთვის, დიპლომატი იქნება თუ ბიზნესმენი, მეცნიერი თუ ტურისტი, ისევე საპატივცემულო ჯახდება, როგორც ჩვენთვის და, შესაძლებელია, უფრო მეტადაც.

ეს იქნება ფრანგული კუთხე თბილისში, სათანადოდ მოწყობილ-გამშვენიერებული ფრანგული კუთხე...

და კიდევ ვისურვებდი:

იმ ღირსშესანიშნავ დღეს, როცა ეს ძეგლი გაიხსნება, საქართველოს ხელმძღვანელობამ საფრანგეთის ხელმძღვანელობას გაუგზავნოს დეპეშა მსგავსად იმისა, როგორც ეს თავის დროზე ილია ჭავჭავაძემ ქნა. აი ილიას დეპეშის ტექსტი:

„დღეს მრავალი ხალხისა და საფრანგეთის კონსულის თანდასწრებით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გადაიხადა ტფილისის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში დაბადების ასის წლის თავის სადღესასწაულო წირვა და პანაშვიდი მოსახსენებლად სულისა ფრანგის ბროსსესი, პარიჟის აზიური საზოგადოებისა და რუსეთის აკადემიის წევრისა, საქართველოს უბრწყინვალესის ისტორიკოსისა და საქართველოს ისტორიის გამავრცელებლისა მსოფლიო ფრანგულის ენითა. საფრანგეთის დიდებული ერი ჰქმნის დიდებულ კაცთა არა მხოლოდ საფრანგეთისთვის, არამედ ყველა ერისათვის. სალამი საფრანგეთს!“

იმასაც ვისურვებდი, პასუხიც ისევე მიგვეღო, როგორც ეს მაშინ მოხდა (თუმცა ეს მთლად ჩვენზე აღარ იქნება დამოკიდებული). აი, საფრანგეთის მინისტრის ჟორჟ ლეგის საპასუხო დეპეშის ტექსტი ილიას:

„დიდად აღტაცებული ვარ მის გამო, რომ თქვენი საზოგადოება იცავს მეცნიერის ბროსსეს სახსენებელსა. თქვენი პატივისცემა მიმიჩნევია ახალ ნიშნად მეგობრობის, კავშირისა, რომელნიც აერთებენ ორთავ ჩვენს ქვეყნებსა“.

თავი თუ არ შეგაწყინეთ, კიდევ ერთი დეპეშის ტექსტი:

„კეთილშობილი ქართველი ერის მიერ მამიჩემის მოგონებამ დიდად აღმიტაცა. გთხოვთ გადასცეთ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მადლობა ერთობით ჩემი სახლობისა და ჩემი პირადი თანაგრძნობაცა“.

ამ დეპეშას ხელს აწერს ბროსსეს ვაჟიშვილი ლორან ბროსე.

ყოველივე ამასთან ერთად, დღეს პატივისცემით შევთავაზებდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, პირადად მის ხელმძღვანელობას, დაეარსებინათ მარი ბროსსეს სახელობის საერთაშორისო პრემია, რომელიც ხუთ წელიწადში ერთხელ თბილისში საზეიმოდ გადაეცემოდათ უცხოელ ქართველოლოგებს მეცნიერების ამ დარგში განსაკუთრებული დამსახურება-მიღწევისათვის.

ეს გააუკვდავებს თვით მარი ბროსსეს სახელს და აამაღლებს საქართველოს საერთაშორისო პრესტიჟს. რაც მთავარია, ახალ სტიმულს მისცემს უცხო ქვეყნების მეცნიერთა შრომას ქართველოლოგიის დარგში.

მარი ბროსე დაიბადა 1802 წლის 5 თებერვალს, გარდაიცვალა პარიზში 1880 წლის 3 ნოემბერს.

ამდენად, წელს შესრულდა ბროსსეს დაბადების 190 წელი.

იმედია, ქართველი საზოგადოებრიობა, მეცნიერები და მწერლები ღირსეულად აღნიშნავენ ამ თარიღს...

20. VII. 92 წ.

ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა ქართული კულტურის და რეკლამის საგარეო ეკონომიკური რესპუბლიკური ფირმა „ბენეფისის“ პრეზიდენტს, საქართველოს სახალხო მხატვარს ბატონ ნოდარ მალაზონიას და ინტერვიუ სთხოვა:



გიხაროდენ: მალე გვექნება ეროვნული ფული და პასპორტი

ინტერვიუ

ბიზნესი

— ბატონო ნოდარ, თუ შეიძლება გვიამბოთ იმ მოღვაწეობის შესახებ, რომელსაც თქვენი ფირმა ეწევა ქართული ფულისა და პასპორტის შექმნის თვალსაზრისით.

დღეს თითქმის მთელმა მსოფლიომ შეიტყო, რომ საქართველოს რესპუბლიკა თავის პასპორტებსა და ფულს საფრანგეთში, ფირმა „ობერტურში“ ბეჭდავს, მაგრამ არავინ იცის დაბეჭდვამდე რა გზა იყო, როგორ იქმნებოდა ყოველივე...

— მართალი გითხრათ, ჩვენ რამდენჯერმე შევაყოვნეთ ინფორმაცია ეროვნული პასპორტისა და ფულის ბეჭდვის თაობაზე. მაგრამ დამერწმუნეთ, ამას თავისი გამართლება და საპატიო მიზეზი ჰქონდა, მოგეხსენებათ, პირველი ეროვნული ფულისა და პასპორტის შექმნა მარტო მხატვრული ამოცანა არ არის — იგი უთვალსაჩინოესი პოლიტიკური მოვლენაცაა და მისი ინფორმაციული გაშიფვრა მკაცრ სახელმწიფოებრივ კანონებს ემორჩილება.

— მაგრამ მას შემდეგ, რაც „ნოვოსტიმ“ და „სვაბოდამ“ ეს მთელ მსოფლიოს ოფიციალურად აცნობეს, ალბათ, უფრო უპრიანი იქნება თქვენგან გავიგოთ რაიმე. თორემ ისე გამოდის — ქმარი ლაშქრად იყო, ცოლი ამბავს უყვებოდაო...

— ვერ მივანიჭებთ პრეროგატივას ვერც „ნოვოსტის“ და ვერც „სვაბოდას“, ეს პირველად ოფიციალურად საზოგადოებას ბატონმა თენგიზ სიგუამ შეატყობინა „მაცნეს“ საშუალებით, მას შემდეგ, რაც 15 ივლისს ოფიციალური დელეგაცია მიიღო „ობერტურიდან“, „ობერტურმა“ და ფირმა „ბენეფისმა“ ამ დღეს ოფიციალურად წარუდგინეს თავისი ექვსთვიანი ნამოღვაწარი მინისტრთა კაბინეტს. ჩვენ მოქმედების ყოველ საპასუხისმგებლო ეტაპზე სამუშაო ანგარიშს ვაბარებდით მთავრობას და სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმს.

— მაინც, როგორ დაიწყეთ თავიდან?...

— დეკემბერ-იანვრის ამბების შემდეგ, როცა დროებითი მთავრობა ჯერ კიდევ ტელედეპარტამენტის შენობაში იჯდა, ჩვენ — ფირმა „ბენეფისმა“ და მისმა გამგეობამ წერილით მივმართეთ ბატონ თენგიზ სიგუას.

წერილში ვწერდით, რომ საჭირო იყო დაუყოვნებლივ შექმნილიყო ერთი სპეციალური სამთავრობო სამხატვრო საბჭო, რომელშიც შევიდოდნენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი ადამიანები. საბჭო კოორდინაციას გაუწევდა, შექმნიდა და დაამკვიდრებდა იმ სახელმწიფო სიმბოლიკასა თუ ატრიბუტიკას, რომელსაც დრო და გარემო გვიკარნახებდა. მიზანი და ამოცანა ნათელი იყო — თავი დაგვეღწია უკომპეტენტობისა და შემთხვევითობისგან.

მივიღეთ რა დაუყოვნებლივ დადებითი პასუხი, შეიქმნა კიდეც ასეთი საბჭო. მასში შევიდნენ ბატონები ვ. ასათიანი, ა. ბაქრაძე, თ. ბუაჩიძე, ვ. ბერიძე მ. ბერძენიშვილი, მ. კოკოჩაშვილი, მ. ლორთქიფანიძე, ნ. ლომოური, ზ. ლეჟავა, მ. მალაზონია, გ. მირიანაშვილი, ა. დვალიშვილი, საბჭოში სხვადასხვა ეტაპზე მონაწილეობდნენ ბატონები რ. მეტრეველი, ი. სურგულაძე, ნ. ბაგრატიონი, ე. ხინთიბიძე, მ. ხელაია და ვ. ჩანტლაძე.

— და თქვენი ფირმა იმ დღესვე შეუდგა ქართული ფულისა და პასპორტის შექმნას?

— რაგინდ უცნაურადაც უნდა გეჩვენოთ. ჩვენ მართლაც იმ სუსხიან და ნატყვიარ იანვარში შევუდექით მუშაობას. ჩემს პატარა ოფისში ოცამდე ადამიანი, უსინათლო და ცივ ოთახში პალტოებში და ქუდებით შეფუთნულები, ვიკრიბებოდით ჯერ ქართული დროშისა და გერბის, შემდეგ კი პასპორტებისა და ფულის კონცეფციების შექმნისა და ჩამოყალიბების მიზნით.

— ფრანგებიც ამ პირობებში მოიწვიეთ?

— ფრანგების პირველი ვიზიტის შესახებ უფრო დაწვრილებითა და საინტერესოდ, ალბათ, ბატონი ჯანო ბაგრატიონი მოგიყვებათ. სხვათა შორის, ბატონი ჯანო „ობერტურის“ კოლუმბად შეიძლება ვაღიაროთ. ეს მას და ბატონ ნიკუშა ლვაბერიძეს — ცნობილ ქართველ მოცეკვავეს— უნდა ვუმადლოდეთ, რომ საფრანგეთში აღმოაჩინეს ნათესავი — ყოფილი ქართველი ემიგრანტის გედევანიშვილის ვაჟიშვილი ბატონი შოთა გედევანიშვილი, რომლის ღვაწლი ამ საქმიანობაში პირად ინტერესებს სცილდება. მან შესაშური გულისხმიერება გამოიჩინა ჩვენს მიმართ და ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ ჩვენი მუშაობა ნაყოფიერი და სასარგებლო ყოფილიყო.

— რამდენადაც ვიცით, თქვენ საქმიანი მივლინებით ბრძანდებოდით საფრანგეთში, ფირმა „ობერტურში“.

— დიახ, ჩვენი მიზანი იყო გავცნობოდით წარმოებას და ფრანგ კოლეგებთან ერთად დაგვემზადებინა ახალი საცდელი ნიმუშები.

— რა შთაბეჭდილება შეგექმნათ?

— აქამდე მეჯონა, ცოტა რამ ვიცოდი პოლიგრაფიაში, მაგრამ საფრანგეთში დავრწმუნდი, რომ ჩვენი პოლიგრაფიული წარმოება ისეა დაშორებული ცივილიზებულ სამყაროს, როგორც მთვარე დედამიწას.

ფულის საბეჭდი ქარხანა ქალაქ რენაშია.. იგი მთელ მსოფლიოში ოთხმოცამდე ქვეყანას უბეჭდავს ფასიან ქაღალდებსა და სხვა სახელმწიფო დოკუმენტებს, თუმცა, თავისი დაცვით, სასეირნო ბულვარად მოგეჩვენებათ პარიზთან ახლოს სოფელ კრევეკოსში „ანჯოვიგინსის“ გასაიდუმლებული ქაღალდის ფაბრიკასთან შედარებით, რომელიც ორზოლიანი ელექტრომავთულხლართიანი მიუდგომელი ღობით, სამეთვალყურეო კომპიუტერებითა და დაგეშილი ნაგაზებითაა გარშემორტყმული.

ეს გარეთ. შიგნით კი რაც ვნახე, როგორც მოგახსენეთ, ყოველგვარ ფანტაზიებს გადააჭარბა. ეს არის მსოფლიოს გიგანტი, მთელი თავისი ავტორიტეტით და მომხიბვლელობით. თუმცა, უფრო სანიმუშოა იქ მომუშავე ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებული კოლეგიურობითა და სითბოთი იყვნენ ჩვენს მიმართ განწყობილი. მე არ ვიცი, ოთხმოცი ქვეყნის რომელ მხატვარს უქმნიან ისეთ სამუშაო პირობებს, როგორიც ჩვენ გვქონდა... ჩვენთვის იქ დაუყოვნებლივ კეთდებოდა ყველაფერი, და ეს, ალბათ, მათი ღირსების კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია.

— ფრანგებიც „ობერტურში“ ბეჭდავენ თავიანთ ფულსა და პასპორტებს?

— საფრანგეთის ბანკს პარიზში თავისი ფულის საბეჭდი ფაბრიკა აქვს და იქ მხოლოდ და მხოლოდ თავისთვის ბეჭდავენ ფულს. სხვათა შორის, ჩვენს ფულს დაბეჭდავენ იმ ქაღალდზე, რომელსაც საკუთარი ფულისთვის იყენებენ.

რაც შეეხება პასპორტებს და სხვა ნებისმიერ გასაიდუმლოებულ დოკუმენტებს, ფრანგებიც „ობერტურში“ ბეჭდავენ.

— ბატონო ნოდარ, რა სტადიაშია დღესდღეობით საქართველოს პასპორტებისა და ეროვნული ფულის გამოშვების საქმე?

— 15 ივლისს ბატონ თენგიზ სიგუას მოწვევით საფრანგეთიდან ჩამოვიდა სპეციალური დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ „ობერტურის“ კომერციული დირექტორი ბატონი ჟან პიერ მორი, საფრანგეთის სამონეტო ქარხნის დირექტორი ბატონი ლამბერი და „ობერტურის“ ოფიციალური კონსულტანტი ბატონი შოთა გედევანიშვილი.

ფრანგებმა მინისტრთა კაბინეტს განსახილველად წარუდგინეს ჩვენი ერთობლივი ნამუშევარი — საქართველოს რესპუბლიკის სამი სახის საგარეო პასპორტი, პირადობის მოწმობები და ქართული ფულის პირველი ნიმუშები.

— ესე იგი, გვაქვს სამი სახის საგარეო პასპორტი, საშინაო როგორი იქნება?

— ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც ნებისმიერ რიგიან ქვეყანაში მოქალაქეთა ვინაობის დამადასტურებელი უნდა იყოს პირადობის მოწმობა. უფრო ზუსტად, ჩვენთან იქნება საქართველოს მოქალაქის „პირადობის მოწმობა“ და „საქართველოს მობინადრის მოწმობა“.

— რა განსხვავებაა მათ შორის?

— საქართველოს მოქალაქის „პირადობის მოწმობას“ მიიღებს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე, ხოლო მობინადრისას ის, ვინც აქ ცხოვრობს, მაგრამ საქართველოს მოქალაქეობა ჯერ არ მიუღია. ამ მოწმობებს შორის ფერითაც იქნება განსხვავება. მოწმობა ცალმხრივლამინირებული და [illegible]. იგი სპეციალურ ცელოფნის პარკში იქნება სპეციალური მანქანით [illegible] მას შემდეგ, რაც სათანადოდ [illegible] ფოტოსურათით, სხვა დამადასტურებელი ტექსტებით და ხელმოწერა-ბეჭდით. ფაქტობრივად მისი ფალსიფიცირება შეუძლებელია. საკმარისია გახსნათ პაკეტი და იგი მთლიანად უვარგისი ხდება.

— როგორც ბრძანეთ, გვექნება სამი სახის საგარეო პასპორტი. რას ნიშნავს?

— ჯერ გეტყვით, რომ საგარეო და საშინაო პასპორტების მოდელი და პრინციპი მთლიანად შეესაბამება დღევანდელი ცივილიზებული მსოფლიოს მოდელს და ჩვენი მოგონილი არ გეგონოთ...

სამი სახის საგარეო პასპორტი კი ასეთია: შინდისფერი — საერთო-საგარეო, მუქი მწვანე — სასამსახურო და მუქი ლურჯი — დიპლომატებისთვის. შინდისფერს მიიღებს ყველა მოქალაქე, რომელიც პირადი სურვილით გაემგზავრება საზღვარგარეთ. სასამსახუროს მიიღებენ საზღვარგარეთ მივლინებით წამსვლელები, დიპლომატიურს კი ისინი, ვინც სახელმწიფო ინტერესების დასაცავად მოღვაწეობს საზღვარგარეთ.

პასპორტების შიდა დიზაინი არაფრით არ განსხვავდება ერთმანეთისგან, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ასევე საერთაშორისო ნორმებს — დიპლომატის პასპორტი შეივსება ქართულად, ფრანგულად და ინგლისურად, ხოლო საერთო და სასამსახურო — ქართულად და ინგლისურად. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ქართული პასპორტი ძალზე ლამაზია და ნამდვილად ქართულია, ჩვენ მისი გაფორმებისთვის გამოვიყენეთ ქართული გრაფიკის კლასიკოსის, ჩემი მასწავლებლის ბატონ ლადო გრიგოლიას გრაფიკული ელემენტები. მასში შეიდი საიდუმლო კოდია ჩადებული, რომლებიც საიმედოდაა დაცული.

— მაშინ ეროვნული ფულის მხატვრობაზეც გვითხარით ერთიორი სიტყვა.

— როგორც მოგეხსენებათ, შემოქმედებითმა ჯგუფმა და სამხატვრო საბჭომ საკმაოდ შრომატევადი სამუშაო გასწია. ასეთ შემთხვევაში ბევრი რამ მარტო მხატვრის სურვილზე არ არის დამოკიდებული. აქ უთვალავი რამაა გასათვალისწინებელი, თანაც, დავრწმუნდი, რომ არ არსებობს, ალბათ, გრაფიკოსისთვის იმაზე უფრო პასუხსაგები და უაღრესად რთული ამოცანა, ვიდრე ზოგადად ფულის დიზაინის შექმნა. გინდ დამიჯერეთ, გინდ არა, მე ამ ხნის მანძილზე დღე და ღამე ქართული ფული მესიზმრებოდა და მოსვენებას არ მაძლევდა.

საფრანგეთში ჩვენ სპეციალურ დეკლარაციაზე მოგვაწერინეს ხელი, რომ ყველაფერი, რაც ჩვენ ვნახეთ, დავიცავდით საიდუმლოდ, არაფერს არ გავიტანდით ქარხნიდან (თუნდაც ნაგლეჯი ქაღალდი და ასე შემდეგ). იმისთვის, რომ ქარხნიდან ჩვენივე შეტანილი ინსტრუმენტი გამოგვეტანა, ვთქვათ ფუნჯი და სხვა, მთელი დავიდარაბა დაგვჭირდა.

— რა არის თქვენთვის, როგორც მხატვრისთვის, საერთოდ ფულის დიზაინი?

— ეს არაჩვეულებრივი პროცესია, საერთოდ, ფულის დიზაინი ტრადიციულად წარსულის ნოსტალგიაა, იხსენებ, აკეთებ, ამკვიდრებ და პოპულარიზაციას უწევ იმას, რაც უფრო ამაღლებს შენს ქვეყანას.

ფულის ხიბლი, ჩემი აზრით, საქართველოს მთა-ბარში შეგროვილი ლამაზი ყვავილების თაიგულია, რომელსაც შეუძლია ერთიანად მოხიბლოს ყველა, ვინც ამ დუნიაზე ცხოვრობს, შინაური იქნება თუ გარეშე.

— რა ერქმევა ქართულ ფულს?

— ჯერჯერობით მთლად დაზუსტებული არ არის.

წერილების ექო

სანამ უნდა გაგრძელდეს უდოკუმენტოდ რაიმეს მტკიცება?

ა. წ. 16 ივლისს საქართველოს ტელევიზიით პროგრამა „ნაშუადღევში“ [illegible] დავით სარაჯიშვილის [illegible] შემდეგ მისმა [illegible] მისი სახახლე კომერსანტ ხოშტარიას [illegible] მიუყიდესო.

ბატონმა ლევან ციცქიშვილმა ქველმოქმედ აკაკი ხოშტარიას კომერსანტად მოხსენიებაში მისი დამცირება დაინახა („საქართველოს რესპუბლიკა“, 1992, 21 VII).

თავის მხრივ, ლ. ციცქიშვილი ამტკიცებს — სასახლე აკ. ხოშტარიამ ქართველ მწერლებს საჩუქრად მიართვაო.

როცა „ნაშუადღევი“ და მისი ოპონენტი ასე დაჯერებულად აკეთებენ განცხადებებს (როცა უფრო ადრე „სახალხო განათლებაში“ 1989, 25. 10. გაზეთი „პოეზიის დღე“ გაიხსენეს, ხოლო ნ. ღვინეფაძემ „კომუნისტში“ 1990. 18 02 მწერალთა კავშირის დაარსებაზე მოგვაწოდა ცნობები), — რატომ არც ერთს აზრად არ მოუვიდა თუნდაც იმავე მწერალთა სასახლეში შეემოწმებინა, სწორია თუ არა ჩვენი ცნობებიო.

ახლა საწყალი მწერალთა სასახლის ყიდვა-გაჩუქებაზე.

„ნაშუადღევის“ საყურადღებოდ: სასახლე გაიყიდა არა დ. სარაჯიშვილის გარდაცვალების (1911), არამედ მისი მეუღლის სიკვდილის (1916) შემდეგ, თუმცა ორივეს ანდერძის მიხედვით უსასყიდლოდ უნდა გადასცემოდა ქალაქის მმართველობას კულტურული მიზნებისთვის.

დ. სარაჯიშვილის დების რა მოგახსენოთ, მაგრამ ანდერძის ერთ-ერთი აღმასრულებლის, დ. სარაჯიშვილის მეუღლის ეკატერინე ფორაქიშვილის ძმის ხელი კი ურევია ანდერძის ამ (და ზოგი სხვა) პუნქტის დარღვევაში (მაგალითად, მას ექვთიმე თაყაიშვილმა დიდი საპოლემიკო წერილებით ძლივს გამოჰგლიჯა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის დატოვებული ფული).

ორიოდე სიტყვა აკ. ხოშტარიას მიერ მწერლებისათვის სასახლის ჩუქებაზე.

ჩვენ ამისი დამადასტურებელი წერილობითი საბუთი არსად შეგვხვედრია, ხოლო ის მოგონებები, რომლებშიაც ამ ვერსიის ავტორები იყრდნობიან, სანდო არაა, თუნდაც იმიტომ, რომ, გვეუბნებიან („ლიტ. საქართველო“, 1989, №40) აკ. ხოშტარიამ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს პაოლო იაშვილს დუტუ მეგრელის — დიმიტრი ხოშტარიას პირით შეუთვალა — სასახლე მწერლებს ვუძღვნიო, მაშინ, როცა პაოლო არასოდეს ყოფილა მწერალთა კავშირის თავმჯდომარე (დაწვრილებით ყოველივე ზემოთქმულზე ჯერ კიდევ 1990 წ. შეგეძლოთ წაგეკითხათ წერილში „კიდევ ერთხელ სიზუსტეზე“ — „სიმართლე“, №4).

მიუხედავად ზემოთქმულისა, იმის შესაძლებლობაც დავუშვათ, იქნებ სადმე აღმოჩნდეს აკ. ხოშტარიას მიერ სასახლის გაჩუქების წერილობითი საბუთი, თუმცა ნურც იმას დავივიწყებთ, რომ აკ. ხოშტარია უამისოდაც საქართველოს ერთ-ერთი ღირსეული შვილი და ცნობილი ქველმოქმედი იყო.

რევაზ კვერენჩხილაძე

რედაქციისაგან: რაკი ამ საკითხმა საზოგადოებრიობის ასეთი ყურადღება მიიპყრო, ჩვენ უახლოეს ნომრებში დავბეჭდავთ აკაკი ხოშტარიას მოღვაწეობის ამსახველ მასალას.

„რატომ დუმს რედაქციის ტელეფონები?“

„საქართველოს რესპუბლიკა“ № 136

რედაქციას უპასუხებს თბილისის სატელეფონო ქსელის უფროსი თ. ლოლობერიძე.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 24 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა რეპლიკა „რატომ დუმს რედაქციის ტელეფონები?“ ამის გამო გაცნობებთ: აღნიშნული საკითხები, რა თქმა უნდა, სრულად შეეფერება სიმართლეს, მაგრამ მე მინდა გავამახვილო ყურადღება იმ მიზეზებზე, რომლებმაც გამოიწვია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ და არა მარტო მისი, სხვა რედაქციების ტელეფონების უმეტესი ნაწილის გაუმართაობა.

მე პირადად, მიმდინარე წლის განმავლობაში რამდენიმე საგაზეთო სტატიაში, სატელევიზიო თუ რადიოგამოსვლაში და პირად საუბარში აღვნიშნე, რომ დეკემბერ-იანვრის მოვლენების დროს არნახული ზარალი განიცადა ქალაქის სატელეფონო მეურნეობამ, მწყობრიდან იყო გამოსული და მხოლოდ და მხოლოდ დიდი მეცადინეობის შედეგად მოხერხდა აღდგენილიყო ავტომატური სატელეფონო სადგურები 93/98/99, (მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზია დარჩენილი თვით სადგურების მუშაობაში, რომელთა აღდგენა დამოუკიდებლად ვერ შევძელით და ხორვატეთის ქ. ზაგრების „ნიკოლა თესლას“ ქარხნიდან მოვიწვიეთ სპეციალისტები, რომლებიც გასაგები მიზეზების გამო მხოლოდ აგვისტოს პირველ ნახევარში ჩამოვლენ), დაიწვა და ვეღარ აღდგება 2500-ნომრიანი ორი სამთავრობო სადგური.

ქალაქის სატელეფონო ქსელმა წელს განიცადა დაახლოებით 8 მილიონი დოლარის და 10 მილიონი მანეთის ზარალი.

93/98/99-ავტომატური სატელეფონო სადგურების შენობა მდებარეობდა საომარი მოქმედებების ეპიცენტრში, მის გარშემო არ გადარჩენილა არც ერთი შენობა, რამაც გამოიწვია სატელეფონო არხებისა და ძირითადი კოლექტორის დანგრევა. ჩვენ მიერ აღდგენითი სამუშაოების წარმოება პრაქტიკულად შეუძლებელია იმის გამო, რომ ნანგრევებიდან არის გასათავისუფლებელი ტერიტორია.

დღეისათვის აღნიშნულ კოლექტორში უკვე დაზიანებულია 8 სხვადასხვა ტევადობის კაბელი, მათ შორის რედაქციისა (100×2), რომლებიც ვერ აღდგება ტერიტორიის გასუფთავებამდე და დიდი კოლექტორის აშენებამდე, სადაც უნდა გადავიდეს ლესია უკრაინკას და შევჩენკოს ქუჩებზე არსებული ყველა სატელეფონო კაბელი.

ჩვენს მცდელობას, აღგვედგინა რედაქციაში შემავალი კაბელი, შედეგი არ მოჰყოლია, ამიტომ ჩვენ გადავჭრით სხვა მიმართულებით მიმავალ კაბელს და შემოვაბრუნებთ რედაქციაში.

აღნიშნული სამუშაოები მიმდინარეობდა სტატიის გამოქვეყნებამდეც და კაბელი აღდგება 4-5 დღეში.

მრის სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობის გადასარჩენად

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა წარმომადგენლების მიმართვა საქართველოს მოსახლეობას

საქართველოს მძიმე სოციალური, ეკონომიკური, ზნეობრივი ... პოლიტიკური პრობლემები ...ს გადასაწყვეტი. აქედან ერთ-...თი უმწვავესია ნარკომანიის ...რცელება. ემპირიული მონაცე-...ბი და სოციოლოგიური გამოკ-...ვევები ადასტურებს, რომ ამ ...ლო ხანს ნარკომანია სწრაფ-... ვრცელდება სხვადასხვა სო-...ალურ ფენებში, განსაკუთრებ-... ახალგაზრდობაში, მათ შორ-... ქალებშიც. გაფართოვდა ნა-...რკომანიის და მისი სახესხვაო-...ბის: კოკაინიზმის, ჰაშიშიზმის, ...რფინიზმის, ბარბიტურმანიის, ...ლინარკომანიის გავლენის და ...რცელების ხასიათი. ნარ-...მანია ტოქსიკომანიაში გადაი-...რდა. აღნიშნული ტენდენციე-... საშიშია, რადგან მას ხელს ...უწყობს შემდეგი სახის ობიექტუ-... და სუბიექტური ხასიათის ფა-...ქტორები: ნარკოტიკული ნივთი-...ერებების გამოყენების დიაგნოს-...ტიკური მეთოდების უმწეობა; ... დარგში კვალიფიციური კად-...რების სიმცირე; ნარკოლოგიურ ...დისპანსერებსა და საავადმყოფო-...ში არსებული უაღრესად უარ-...ყოფითი მდგომარეობა — სისტე-...მატურად აღინიშნება ადამიანებ-...ის მიმართ გულგრილი, ზოგჯერ დანა-...შაულებრივი დამოკიდებულების ...ვალალო შემთხვევები; გახშირ-... სამედიცინო დაწესებულებებ-... და კლინიკებზე ნარკოტიკული ...ნივთიერებების ხელში ჩაგდების ...მიზნით შეიარაღებული თავდასხ-...მები, რასაც ერთგვარად განაპი-...რობებს შავ ბაზარზე ნარკოტიკე-...ბის უაღრესად დიდი ფასები, ნა-...რკობიზნესის მასშტაბის ფართო ...ბა და სხვა. თუ ამ მოვლენე-...ბის უვნებელყოფის მიზნით, უმ-...ოკლეს ვადებში არ გატარდა ქმე-...დითი ხასიათის ღონისძიებები, ნარკომანია სულ მოკლე დროში ეროვნულ ტრაგედიად გადაიქცევა.

აუცილებელია საქართველოში მოქმედი ნარკოლოგიური სამსახურის მუშაობის არსებითი გარდაქმნა, ყველა მისი შესაბამისი სტრუქტურის მაქსიმალურად მიზნობრივი ამოქმედება, თანამედროვეობის დონეზე ნარკოლოგიური მომსახურების ცენტრალიზებული მძლავრი სისტემის შექმნა.

რაც მთავარია: კარდინალურად უნდა შეიცვალოს ნარკოტიკულ ნივთიერებათა არასამედიცინო მიზნით მომხმარებლებთან და ნარკომანებთან დამოკიდებულება. მათთან ბრძოლა კი არ არის საჭირო, არამედ მათთან ადამიანური დამოკიდებულების დევალვირებულ ღირებულებათა აღდგენა. **ნარკომანია დაავადებაა და როგორც ყველა დაავადებას, მასაც მკურნალობა ესაჭიროება. იგი არა მარტო სამედიცინო, ბიოლოგიური, სოციალური და იურიდიული პრობლემაა, არამედ — ფსიქოლოგიური და მორალურიც.**

ჩვენი აზრით, აუცილებელია ნარკომანიის ლეგალიზაცია. დროის გარკვეულ მონაკვეთში მას ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია: ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებლები და ნარკომანთა ერთი ნაწილი მკურნალობას ნებაყოფლობით (ან ანონიმურად) დაიწყებენ. მნიშვნელოვნად შემცირდება ნარკოტიკების დამლუპველი ფაქტორები, შესაძლებელი გახდება ნარკომანიის გავრცელების ნამდვილი მდგომარეობის ასახვა და მის შესაბამისად კონკრეტული ხასიათის ღონისძიებების განხორციელება; თავიდან ავიცილებთ აბსტინენციური სინდრომის სავალალო შედეგებს. რეალური გახდება ნარკოტიკული ნივთიერებების მოსაპოვებლად ჩადენილ დანაშაულობათა კლება, ნაწილობრივ ნიადაგი გამოეცლება ნარკობიზნესს და სხვა. რასაკვირველია, „ნარკომანიის ლეგალიზაციის“ ცნების შინაარსი შემდგომ დაკონკრეტებას და გააზრებას საჭიროებს, ისიც ცხადია, რომ ნარკომანიის ლეგალიზაცია ბევრ დამატებით, უწინარესად ფინანსურ პრობლემებს დასვამს დღის წესრიგში, მაგრამ, როგორც იტყვიან, უკან დასახევი გზა არა გვაქვს, ამ და სხვა პრობლემების გადასაწყვეტად ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ.

ნარკომანიის ლეგალიზაცია არ გულისხმობს ნარკოტიკული ნივთიერებების რეალიზატორთა მიმართ რაიმე დათმობას. მათ ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს. სწორედ მათ წინააღმდეგ უნდა ვაწარმოოთ შეუპოვარი ბრძოლა. ამ მიზნით მკვეთრად უნდა გაძლიერდეს ტრანსპორტისადმი, ნარკოტიკულ ნივთიერებათა წარმოებისა და გავრცელების ყველა საშუალებისადმი კონტროლი. არსებობს ნარკომანიის ლეგალიზაციისა და მის შედეგად წარმოშობილი პრობლემების გადაწყვეტის საერთაშორისო გამოცდილება, მათი გათვალისწინებით შესაძლებელი იქნება დადებითი შედეგების მიღწევა.

აუცილებელია ნარკომანიის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კომპლექსური დაგეგმვა, რომელშიც გაერთიანდებიან ფსიქიატრიის, ბიოქიმიის, ნევროპათოლოგიის, სასამართლო მედიცინის, ფარმაცევტული ქიმიის, ფარმაკოლოგიის და სხვა მომიჯნავე მეცნიერებების წამყვანი წარმომადგენლები. მხოლოდ მათი ერთობლივი ძალისხმევით არის შესაძლებელი ამ პრობლემის თანამედროვე ცივილიზებული სახელმწიფოების დონეზე გადაწყვეტა.

ნარკომანიის პრობლემა არ დაიძლევა, თუ ამ საქმეში მონაწილეობა არ მიიღო მთელმა საზოგადოებრიობამ, თუ ყველამ არ გაიცნობიერა ამ საშიში დაავადების დაუყოვნებლივ მკურნალობის აუცილებლობა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლების სახელით: რ. ხეცურიანი, — ინსტიტუტის რექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; დ. ტვილდიანი — ინსტიტუტის პრორექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; დ. გეგეშიძე — ინსტიტუტის პრორექტორი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; გ. დუმბაძე — ინსტიტუტის პრორექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; დ. საყვარელიძე — ინსტიტუტის პრორექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; გ. ჟვანია — პედიატრიული ფაკულტეტის დეკანი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; რ. მახარაძე — ფარმაცევტული ფაკულტეტის დეკანი, ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; ბ. კვანჭახაძე — სანიტარიული ფაკულტეტის დეკანი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; ო. გოგიბერიძე — ინტერნატურის დეკანი, პროფესორი; თ. კერესელიძე — ინსტიტუტის მიკრობიოლოგიის კათედრის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; ბ. ჩუმბურიძე — ინსტიტუტის ფარმაცევტული ქიმიის კათედრის გამგე, ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

აზერბაიჯანის მინისტრი — თურქი მოქალაქე

აზერბაიჯანის პრეზიდენტის აბულფაზ ელჩიბეის ბრძანებულებით, რესპუბლიკის მიწის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნულია თურქეთის მოქალაქე ჯამილ უნალი.

როგორც „თურანის“ სააგენტომ შეიტყო, სხვა უცხოელი მოქალაქეების დანიშვნასაც აპირებენ აზერბაიჯანის მინისტრებად.

ტოდორ ჟივკოვი შინაპატიმრობაში იქნება

შინაპატიმრობას უპირებენ ბულგარეთის ყოფილ ხელმძღვანელს ტოდორ ჟივკოვს. ახეთი ღონისძიება შეუფარდეს მას ეროვნულ საგამოძიებო სამსახურში გამოძახების შემდეგ.

ჟივკოვი ბრალდებულად არის მიჩნეული, განაცხადა საგამოძიებო-საპროკურორო ჯგუფის ხელმძღვანელმა, რომელიც ბულგარეთის ეკონომიკური კატასტროფის დამნაშავეთა საქმეს იძიებს.

კუბელმა ლიდერმა ამერიკის დაზვერვას დაასწრო

ამერიკის დაზვერვის აგენტებმა კინაღამ ხელში ჩაიგდეს კუბის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი, გენერალი ხოსე აბრანტესი, როცა იგი 1989 წელს ბაგამის კუნძულებზე ნარკოტიკულ გარიგებაში მონაწილეობდა.

მათ ხელი შეუშალა ფიდელ კასტრომ, რომელმაც ორმაგი აგენტის მეშვეობით შეიტყო გარიგების ამბავი. მისი ბრძანებით გენერალი დააპატიმრეს, რამდენიმე ხნის შემდეგ კი დახვრიტეს. ამაზეა ლაპარაკი მაიამში გამოცემულ წიგნში „კასტროს უკანასკნელი საათი“, რომლის ავტორები არიან ამერიკის შეერთებული შტატების საბაჟო სამსახურის ორი გადამდგარი მუშაკი.

„პან-ამი“ კომპენსაციას გადაუხდის დაღუპულის ოჯახს

ბრუკლინის ფედერალურმა სასამართლომ „პან-ამის“ ავიაკომპანიას დააკისრა 9 მილიონ 28 ათასი დოლარი გადაუხადოს ერთ-ერთი იმ მგზავრის ოჯახს, რომელიც თვითმფრინავის აფეთქების შედეგად შოტლანდიაში დაიღუპა 1988 წელს.

სასამართლოს აზრით, ავიაკომპანია პასუხს აგებს იმისთვის, რომ მისმა მოსამსახურეებმა ვერ მიაგნეს ბომბს, რომელიც თვითმფრინავის საბარგო განყოფილებაში იყო დამალული.

შეჰყავთ შერეული სამშვიდობო ძალები

დღეს დაიწყო დნესტრისპირეთის კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების შეყვანა, რომლის შემადგენლობაში არიან რუსეთის, მოლდოვეთისა და დნესტრისპირეთის ბატალიონები. ისინი დააშორიშორებენ დაპირისპირებულ მებრძოლ მხარეებს. სათანადო შეთანხმებას ხელი მოაწერეს რუსეთისა და მოლდოვეთის პრეზიდენტებმა ბ. ელცინმა და მ. სნეგურმა. რუსეთმა იკისრა შეიარაღებული კონფლიქტის გარანტის როლი. შერეული სამშვიდობო ძალების შეყვანამდე ორივე მხარის თანხმობით მშვიდობის უზრუნველყოფა დნესტრისპირეთში დისლოცირებულ რუსეთის მე-14 არმიას დაეკისრა. აქ სიტუაცია მწვავე და რთული რჩება. როგორც კიშინიოვში, ასევე დნესტრისპირეთშიც არიან პოლიტიკური ძალები, რომლებსაც არ სურთ ცეცხლის შეწყვეტა და ვითარების დესტაბილიზაციას ცდილობენ.

კრიზისი მოწესრიგდა

ბუშის, როგორც იქნა, მოწესრიგდა მწვავე კრიზისი, რომელიც გამოიწვია ერაყის ხელისუფალთა პროვოკაციულმა მოქმედებამ — მათ გაეროს ინსპექტორები არ შეუშვეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს არქივებში, სადაც, როგორც ვარაუდობენ, ინახება ერაყის მასობრივი მოსპობის იარაღის დოკუმენტები. გაეროს საინსპექციო კომისიის ხელმძღვანელმა როლფ ეკეუსმა და გაეროში ერაყის წარმომადგენელმა ალ-ანბარიმ განაცხადეს, რომ ერაყი დათანხმდა დაუშვას გაეროს ინსპექტორები სოფლის მეურნეობის სამინისტროს შენობაში დოკუმენტების გასაცნობად. ეკეუსი სამშაბათს ბაღდადში მიემგზავრება. ამერიკის შეერთებული შტატები მზად იყო ერაყის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენებისთვის. გუშინ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა კმაყოფილება გამოთქვა, რომ არ დასჭირდათ უკიდურესი ზომები. მან ერაყის პრეზიდენტს სადამ ჰუსეინს ყოჩი, მამლაყინწა და მშიშარა დიქტატორი უწოდა და დასძინა, რომ მომავალშიც მისი მხრიდან ახალ-ახალი პროვოკაციებია მოსალოდნელი. კრიზისის მოსაწესრიგებლად, გარკვეულ კომპრომისს მიაღწიეს, კერძოდ განაახლეს ინსპექტორთა ჯგუფის შემადგენლობა, რასაც ბაღდადი მოითხოვდა. ზოგი მიმომხილველის აზრით, ვაშინგტონს უფრო სწრაფად უნდა ემოქმედა. იმასაც ფიქრობენ, რომ მოლაპარაკების გაჭიანურების ტაქტიკა ერაყმა შესაძლოა დოკუმენტების გადამალვისთვის გამოიყენა.

კარიკატურისტის კომენტარი



კონკურსი ფასიან დამოუკიდებელ უმაღლეს სასწავლებლებში. „ნეზავისიმაია გაზეტა“.

აქტუალური ინტერვიუ

ფრთხილად, ციმბირული წყლულია!..

საქართველოში დიდი ხანია არ გვქონია ციმბირის წყლულის შემთხვევები. წლეულს ივნის-ივლისში რესპუბლიკაში უკვე აღირიცხა ადამიანების ციმბირული წყლულით დაავადებები, საიდან და რატომ გაჩნდა ეს ინფექცია, რა უნდა გაკეთდეს მისი ლიკვიდაციისათვის? ამასთან დაკავშირებით ინტერვიუ ვთხოვეთ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ინფექციონისტს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, პროფესორ შოთა ბოცვაძეს და რესპუბლიკური სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის მთავარ ექიმს ბატონ სულიკო კირთაძეს.

ციმბირის წყლული მწვავე ინფექციურ-ზოონოზური დაავადებაა. საქართველოში მას ჯილეხს უწოდებენ.

ციმბირის წყლულის ანუ ჯილეხის გამომწვევი გარემოში იქცევა სპორებს, რის გამოც არაჩვეულებრივი გამძლეობით გამოირჩევა: დუღილს უძლებს 60 წუთს, მინუს 200 გრადუსამდეც კი არსებობს წყალში და განსაკუთრებით ნიადაგში ძლებს ათობით წელს. საყურადღებოა, რომ ტყავისა და ბეწვის დამუშავების არსებული ტექნოლოგიური პროცესის პირობებში სპორები არ იღუპებიან.

1984 წელს აშშ-ში გამოიკვლიეს ჰაიტიდან ჩამოტანილი თხის ტყავისგან დამზადებული ხელჩანთები, იატაკის საფენები და სათამაშოები, რომელთა 40 პროცენტი ჯილეხის ჩხირებით დაბინძურებული აღმოჩნდა. ნიადაგში ტემპერატურისა და ტენიანობის პირობებში სპორები გადადიან ვეგეტაციურ ფორმებში და მრავლდებიან. ეს უკანასკნელნი მაღალ ტემპერატურას ვერ უძლებენ. დაბალზე კი 110 გრადუსამდე ძლებენ. გამომწვევი გამოიმუშავებს ძლიერმოქმედ შხამს — ეგზოტოქსინს.

ინფექციის ერთადერთი წყაროა დაავადებული შინაური ცხოველები, პირველ რიგში ბალახისმჭამელები, იშვიათად ღორები, გარეული და მტაცებელი ცხოველები. მათი დაავადება მიმდინარეობს ძლიერ მძიმედ, გენერალიზებული ფორმით, ცხოველი 1-2 დღეში, ელვისებური ფორმის დროს კი — რამდენიმე საათში იღუპება.

ავადმყოფი ცხოველი გადამდებია დაავადების მთელ პერიოდში, საშიშია ინფიცირებული ნიადაგიც, ინფექციის პოტენციური წყარო შეიძლება იყოს დაავადებული ადამიანიც, ინფექცია ადამიანზე გადადის ძირითადად კონტაქტის გზით, გამომწვევი შეიჭრება დაზიანებული კანიდან და ლორწოვანიდან. ადამიანი ავადმყოფი ცხოველის მოვლის ან მისი იძულებითი დაკვლისა და ხორცის დამუშავების დროს დაცემული ცხოველის გატყავებისა და დამარხვისას, ინფიცირებული ხორცის, ტყავის, ბეწვის, ან მატყლის დამუშავებისას ავადდება. უფრო იშვიათად ინფექცია გადაეცემა სასუნთქი გზებით. ამით ხდება ციმბირის წყლულის გამომწვევის გადაცემა დაინფიცირებული ნედლეულის — ტყავის, ბეწვის, მატყლის დამზადებისას.

ადამიანის ორგანიზმში შეჭრილი სპორებისგან წარმოიქმნება ვეგეტაციური ფორმები, რომლებიც გამოყოფენ ძლიერ შხამს. ეს შხამი ადგილობრივად, პროცესის გენერალიზაციის დროს კი სხვადასხვა ორგანოებში იწვევს ნეკროზულ-ჰემორაგიულ ანთებას ანუ ქსოვილის დაშლას და სისხლჩაქცევებს.

ადამიანში ციმბირის წყლული გამოვლინდება კანის და გენერალიზებული ფორმით.

ფარული პერიოდი 2-8 დღეა, იშვიათად თოთხმეტამდე გრძელდება. კანის ფორმის დროს გამომწვევის შეჭრის ადგილზე ჩნდება ლაქა, რომელიც მალე სპილენძისფერ კვანძად გადაიქცევა. კვანძი რამდენიმე საათში ბუშტუკად იქცევა, რომელშიც შავი ფერის შიგთავსია. ბუშტუკი მალე სკდება და წარმოიქმნება წყლული, საიდანაც გადმოედინება მოყვითალო-სისხლნარევი სითხე. შემდეგ წყლული იფარება შავი ქერქით, რომელიც ნახშირს წააგავს, ამიტომ უწოდებენ „ანთრაქსს" — ბერძნულად — ნახშირს. წყლულის ირგვლივ ჩნდება მეორეული ბუშტუკები, რომელიც იგივე სტადიებს გაივლის, წყლულები ერთდება და ვითარდება ე. წ. კარბუნკული, ზოგჯერ 8-15 სმ-ის დიამეტრით. წყლულის ირგვლივ ვითარდება სიწითლე და მძიმე შეშუპება. ციმბირის წყლულის კარბუნკული უმტკივნეულოა, ამიტომ ხალხმა მას „ბედნიერი" დაარქვა. ამასთან ავადმყოფს აქვს ტემპერატურა და მოშხამვის სხვა მოვლენები — თავის ტკივილი, აჩქარებული მაჯა, ვითარება ლიმფური გზების ანთება. საშიშია სახისა და კისრის მიდამოში განვითარებული წყლული, რადგან შეშუპებამ შეიძლება გამოიწვიოს ასფიქსია, ან მსხვილი სისხლძარვის დაზიანების გამო სასიკვდილო სისხლისდენა. ქერქის მოშუშებას და მოშორებას სამი-ოთხი კვირა სჭირდება და რჩება ნაწიბური.

გენერალიზებული ფორმის დროს ზიანდება ფილტვები, ნაწლავები, თავის ტვინი და მისი გარსები და სხვა ორგანოები. დაავადება იწყება ძლიერი შემცივნებით, 40 გრადუსამდე ტემპერატურით, ავადმყოფს აწუხებს თავის ტკივილი, ღებინება, ქოშინი, სისხლიანი ხველა, სუნთქვის დროს ტკივილი. აჩქარებულია მაჯა. კანზე ჩნდება სისხლჩაქცევები, გამოხატულია ციანოზი, მუცლის ტკივილი, სისხლიანი ფაღარათი. თუ პროცესში თავის ტვინიც ჩაერთო, ზემოაღნიშნულ მოვლენებს ემატება აგზნება, ბოდვა, კრუნჩხვები, უგონო მდგომარეობა. ავადმყოფი იღუპება 1-4 დღეში ინფექციურ-ტოქსიკური შოკის მოვლენებით.

ჯილეხის მკურნალობა კანის ფორმის დროს ეფექტურია. მასიური დოზებით გამოიყენება ბენზილპენიცილინი, ციმბირის წყლულის საწინააღმდეგო გლობულინი. მძიმე შემთხვევებში — მოშხამვისა და შოკის საწინააღმდეგო საშუალებები, ჰორმონები.

კანის ფორმის დროს პროგნოზი კეთილსაიმედოა. გენერალიზებული ფორმისას კი გამოჯანმრთელება იშვიათია.

ამ მძიმე დაავადების გავრცელება ხორცის გამოყენებასთან არის დაკავშირებული. ამიტომ მოსახლეობა ფხიზლად უნდა იყოს: არ იყიდოს ხორცი შემთხვევით ადგილებში, რადგან ქუჩებში და სხვა კერძო ადგილებში გამოტანილ ხორცს არ უტარდება არავითარი კონტროლი.

— ბატონო სულიკო, როგორც შევიტყვეთ, ამ დღეებში ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სპეციალისტების, მინისტრის მოადგილის ბატონ ავთანდილ ჯორბენაძის ხელმძღვანელობით მონაწილეობდით ჯილეხით დაავადების შემთხვევების გამოვლინების კერებში. გთხოვთ გვიამბოთ, რა მოხდა და რა მდგომარეობაა დღეს.

— ივნისის ბოლოს წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკიდან ჰოსპიტალიზებული იყო სამი ჯილეხით დაავადებული ავადმყოფი. გამოირკვა, რომ ერთ-ერთმა მოქალაქემ იძულებით დაკლა პირუტყვი და მისი დამუშავების დროს დაიხმარა მეზობლები. ამ პირმა ხორცი საკუთარი მანქანით წაიღო ქუთაისის ცენტრალურ ბაზარში, ისე რომ ვეტექიმისგან არავითარი ცნობა არ ჰქონდა ცხოველის ჯანმრთელობის შესახებ. ხორცი ბაზარში ბევრი იყო და უკან წამოიღო. როგორც გვითხრეს, უცნობმა პირმა იყიდა მისგან ხორცი, ხოლო ცელოფანში გახვეული ტყავი დაკარგა.

მაღლაკში ვეტერინართა სამსახურმა დაიწყო პირუტყვის აცრა, მაგრამ გამოვლინდა სხვა იძულებითი დაკვლისა და პირუტყვის დაცემის შემთხვევებიც.

ზოგიერთმა ხორცი გაყიდა ქუთაისის ქუჩებში, კერძოდ სტიქიურად შექმნილ ბაზარში (ბუკიას ბაზარში). ასეთი უკანონობის შედეგად მაღლაკსა და ქუთაისში ცამეტი პირი დაავადდა. მათ შორის ერთი გენერალიზებული ფორმით მოკვდა.

ამჟამად კერა ვეტსამსახურის მიერ ლოკალიზებულია, განვახორციელეთ პროფილაქტიკური ღონისძიებები.

როგორც ვთქვი, ეს მოსახლეობის ერთი ნაწილის მიერ ჩადენილმა უკანონო ქმედებამ გამოიწვია, რაც გამოიხატა ვეტერინარული წესებისა და კანონიერების დაუცველობით. თავის დროზე რომ განხორციელებულიყო პირუტყვის პროფილაქტიკური აცრები, დღეს ასეთი მდგომარეობა არ გვექნებოდა.

საგანგებო ვითარებაა. შესაბამისმა ვეტერინარულმა სამსახურებმა, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურმა, ადმინისტრაციულმა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა მთელი ძალები ამ კუთხით უნდა წარმართონ.

ჩვენ კი ყველა სამედიცინო დაწესებულება უზრუნველვყავით როგორც სამკურნალო, ისე სპეციფიკური პროფილაქტიკური პრეპარატებით და ვიმედოვნებთ, უმოკლეს დროში დამთავრდება დაავადებათა კერების მთლიანი ლიკვიდაცია.

იზა ჯაჭვაძე.

რეპლიკა

„გაბაზრებული" ეროვნული სიამაყე

ყოველ შაბათ-კვირას თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის ეზოში დილიდანვე უამრავი ხალხი ირევა. ქუჩიდან მათი შემყურე უცებ იფიქრებს, ფეხბურთის მატჩი ხომ არ იწყებაო, მაგრამ ეს, ცხადია, გამორიცხულია...

— მაშ, რა ხდება?..

— ბაზრობაა, ბატონებო, ბაზრობა!

აქ ჩიტის რძეც რომ მოიწადინოთ, ალბათ, იმასაც შეიძენთ, მაგრამ ფასებს აღარ იკითხავთ?!

საინტერესოა ვის ან რისთვის დასჭირდა ჩვენი საამაყო სტადიონის ტერიტორია ამ დანიშნულებით გამოეყენებინა?

ალბათ, სტადიონის დირექცია თავს გაიმართლებს, რაღაც საშუალებით ხომ უნდა შევინახოთ თავიო, და, ალბათ, ვერც შეედავები, მაგრამ ამ გზით თავის შენახვა ცოტა უხერხული ხომ არ არის?!

იქნებ ვცოდავთ და სულაც უსასყიდლოდ დაუთმო დირექციამ სტადიონის ტერიტორია ვაჭრობის მოყვარულთ? მით უარესი!

ვფიქრობთ, შესაბამისი ორგანოები, სპორტის ტრფიალი ადამიანები ყურადღებას მიაქცევენ ამ საკითხს! ეროვნულ სტადიონზე ვაჭრობა და რია-რია ვერაფერი საკადრისია!

ირაკლი ნეზიერიძე.

მხატვრობა

შეხვედრა ჭეშმარიტ ხელოვნებასთან

80-იანი წლების მხატვრობა ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციების მქონე ხანაა, რომელშიც განსხვავებულმა სოციალურმა თუ პოლიტიკურმა ძვრებმა სხვადასხვაგვარი ასახვა პოვეს. ამ ათწლეულში ქართულ სახვით ხელოვნებაში განსაკუთრებით აქტიურად ვითარდება აბსტრაქტული ხელოვნება, თუმცა ისევ ძლიერია ის რეალისტური მხატვრობის ტალღა, რომელიც დამახასიათებელია ქართული ფერწერისათვის.

პირობითად რომ აღვნიშნოთ, ზუსტად ამ მეორე გეზთან მიმართებაში უნდა შევაფასოთ და გავაანალიზოთ დავით სულაკაურისა და გურამ ნიკოლაძის შემოქმედება, თუმცა ძალზე საინტერესოა თუ როგორ და რა მხრივ განიცდის ცვლილებას თვით რეალისტური ფორმის გააზრება.

თბილისის ისტორიის მუზეუმის (ქარვასლა) დარბაზში იაკობ ნიკოლაძის საზოგადოებამ მოაწყო ამ ორი შესანიშნავი ხელოვანის მიერ ბოლო წლებში შესრულებული ნამუშევრების გამოფენა, — ორივე „ოთხმოციანელია".

ექსპოზიციაში გავეცანით გურამ ნიკოლაძის გრაფიკულ და დავით სულაკაურის ფერწერულ ტილოებს.

გურამ ნიკოლაძის ყოველ ნახატში ჩანს მოქანდაკის თვალი, რაც ვლინდება ფორმის მოცულობის თუ სიმკვრივის თავისებურ განცდაში. დავით სულაკაურის ფერწერულ ნამუშევრებში კი იგრძნობა ქართული მონუმენტური ფერწერის ცოდნა, ნატურის, ფორმის პლასტიკურ-ემოციური ძერწვითი დამუშავება, ფერის ენით აზროვნება.

ორთავე მხატვარს აერთიანებს ის გარემოებაც, რომ აკადემიის დამთავრების შემდეგ ისინი ერთხანს მუშაობდნენ ედუარდ კალანდაძის სახელოსნოში, რამაც გავლენა იქონია მათი მხატვრული ენის ჩამოყალიბებაზე. ეს მჟღავნდება სურვილში წარმოაჩინონ მასალის მაქსიმალური შესაძლებლობანი. ორივე ხელოვანი ნამუშევრების სახვითი გააზრებისას მიმართავს განზოგადებას ლამის აბსტრაქციამდე. მათ ქმნილებებში ორგანულად ერწყმის ერთმანეთს კონკრეტულობა და მხატვრული ფორმის ესთეტიკური განცდა.

უმთავრეს მასალად გ. ნიკოლაძე იყენებს გრაფიკულ ტუშს ცარცის ქაღალდზე (ცხიმი, პიგმენტი, სანთელი). ეს მასალა ნახატს ალამაზებს, აძლევს სიმკვრივეს, ტონალურ ჟღერადობას. შავი ფერის და თეთრი ფონის შერწყმა კი ცხოველხატულობას მატებს დეკორატიულად ათამაშებულ მის ფურცლებს. მხატვრის ოსტატობაზე მეტყველებს სურათები „მშვილდოსანი", „დირიჟორი", „დახვრეტა", მათში ფიგურები დახატულია ერთი ძლიერი მონასმით.

ძალზე საინტერესოა კომპოზიცია „შეთქმულება". ესაა სამი მამაკაცის სახე; ყოველი სახე მკვეთრად ინდივიდუალურია და მათი გამომეტყველება გროტესკამდე არის აყვანილი; ეს ნამუშევარი შორეულ ასოციაციას ბადებს ფრანსისკო გოიას გრაფიკულ სერიასთან.

გრაფიკული პეიზაჟებიდან პოეტურობით და დეკორატიულობითაც გამოირჩეოდა „მთები" და „ზღვა", რომელთა კომპოზიცია სრულიად აბსტრაგირებულია.

დავით სულაკაურის ფერწერულ ნამუშევრებში ჩანს, რომ მხატვარი აქტიურად განიცდის იმ პოლიტიკურ და სოციალურ მოვლენებს, რამაც დღევანდელი საქართველო მოიცვა. მეტიც, ის თითქოს წინასწარ გრძნობდა მოახლოებულ ამბებს, ხოლო იანვრის დრამატული დღეების შემდეგ, იგი ქმნის მთელ სერიას ფერწერული ტილოებისას, რომელიც უშუალოდ დღევანდელობას ეხმიანება. ესენია მონუმენტური ფერწერის ტრადიციაში შესრულებული კომპოზიცია „იანვარი თბილისში", მომცრო დაზგური სურათები „სამაჩაბლო", „ლტოლვილები". გარდა ამ ნამუშევრებისა საყურადღებოა ფერწერული ესკიზები განკუთვნილი წალკის ეკლესიის მოხატვისათვის, მაგალითად „გარდამოხსნა".

დაზგური ხასიათის ტილოებში დ. სულაკაურის ხელწერისათვის დამახასიათებელია ინტენსიური ფერადოვანი ჟღერადობა. მხატვარი მეტყველებს ფერადოვანი ენით.

მთელ რიგ ნამუშევრებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სასურათო სიბრტყის ფაქტურასაც, რომელიც უმეტესად „ხორკლიანია" ასეთი ფაქტურა იქმნება მხატვრის მიერ მომზადებული გრუნტის მეოხებით ხეზე ან ხის დაფაზე.

გამოფენამ, რომელზეც ორი მხატვარი გავიცანით, გვაზიარა ჭეშმარიტ ხელოვნებას, აღინიშნა, რომ მათი შემოქმედება თანამედროვე ქართული ხელოვნების მნიშვნელოვანი მოვლენაა.

მარინა ოკლეი,
ხელოვნებათმცოდნე.

• • •



სურათზე: გ. ნიკოლაძე — „ზღვა".

„როდის მივმართოთ რუსთაველს"

ასეთი იყო თემატური შეკრების თემა, რომელიც 26 ივლისს გაიმართა იყალთოში, აკადემიის ნაფუძარზე. და ეს ამოუწურავი და ყოველთვის აქტუალური თემა ზედმიწევნით შეესაბამებოდა ჩვენს დღევანდელ ყოველმხრივ დაძაბულ და შემაშფოთებელ დროს, როცა აირია გარეული და შინაური მტერი, ძმა ძმას არ ინდობს და საზოგადოება ლამის სასოწარკვეთილებამ მოიცვას.

ისევ რუსთაველმა უნდა გვიხსნას, მისმა სიბრძნემ, უკვდავებამ, მარად დაუშრეტელმა ძალამ და ჩვენი ცხოვრების მარადიული გზის მანათობელმა — ეს აზრი გამოსჭვიოდა აქ შეკრებილთა დიალოგებში, ამ შეხვედრის ორგანიზატორის — გიორგი შათირიშვილის, შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო უნივერსიტეტის რექტორის, მწერლების ლევან სანიკიძისა და ემზარ შალიკაშვილის, იყალთოს საშუალო სკოლის პედაგოგის დალი შიშმანაშვილის, პროფესორ ნოდარ სარჯველაძის, დოცენტების ელბერტ ბატიაშვილის და ღვთისავარ არჩემაშვილის და სხვათა გამოსვლებში.

რუსთაველის ღრმა საკაცობრიო იდეალები ჰკვებავდა მშობელ ხალხს მარადჟამს უწინ და დღესაც. მისი შარავანდედი, მისი უკვდავი სული თავს დაგვტრიალებს, სიყვარულისაკენ, მეგობრობისაკენ, ერთობისაკენ მოგვიწოდებს, აღინიშნა შეკრებაზე. ყველა კეთილი გზა რუსთაველისაკენ მიდიოდა და მიდის, რუსთაველი გადაგვარჩენს აწ და მარადის.

ენდი ჟამიერაშვილი.

ახალი ჟურნალი

გალაკტიონის სახელობის საქველმოქმედო საზოგადოებამ და ასოციაცია „ერქვანმა" დააფუძნეს ახალი ჟურნალი „თანამედროვე რომანი", რომლის ანოტაციაც გვამცნობს, რომ ჟურნალის მიზანია რომანის, როგორც მხატვრული ჟანრის, კლასიფიკაცია.

ამ მიზნის მიღწევას კი, რედაქციის აზრით, ორი რამ განაპირობებს: თეორიული გააზრება და პრაქტიკული განხორციელება. ამის საუკეთესო საშუალებაა ცდა. იგი ხომ ბედის მონახევრეა! ჟურნალის ბედი, რა თქმა უნდა, ჩვენს მწერლებსა და მათ თაყვანისმცემელ მკითხველზეა დამოკიდებული.

მაშ, ასე: ჟურნალი ბეჭდავს რომანებსა და პოემებს. პირველი ნომერი მკითხველს სთავაზობს აკაკი გაწერელიას ისტორიულ-ფსიქოლოგიურ რომანს „შამილს" და შოთა ნიშნიანიძის პოემას „თაგვის წელიწადს".

„თანამედროვე რომანის" მთავარი რედაქტორია ავთანდილ ადეიშვილი.

თანამედროვე
რომანი
1-1992

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

ნუ ასხამთ ცეცხლზე ნავთს!

ღია წერილი გაზეთ „ზაკავკაზსკიე ვოენიე ვედომოსტის" მთავარ რედაქტორს ანატოლი დერგილიოვს

პატივცემულო რედაქტორო!

ჩვენ ვაშენებთ თავისუფალ, სამართლებრივ, დემოკრატიულ სახელმწიფოს. მაგრამ არიან გარკვეული ადამიანები, რომლებსაც არ სურთ ახლებურად ცხოვრება და მუშაობა, არ სურთ მშვიდობა და წესრიგი. ისინი ცდილობენ ნებისმიერი ხელმისაწვდომი გზით წაჰკიდონ ერთმანეთს ხალხები, გააღვივონ ეროვნებათშორისი კონფლიქტები.

აი თქვენი გაზეთის მუდმივი რუბრიკის „ფაქსის" ავტორებიც საქართველოში გაჩაღებულ ეროვნებათშორის ხანძარზე ნავთს ასხამენ. 1992 წლის 21 ივლისის გაზეთის 137-ე ნომერში, იმოწმებენ რა „ნოიან ტაპანის" რაღაც საინფორმაციო სააგენტოს, ნათქვამია, თითქოს გახშირებულიყოს სომეხი ეროვნების პირთა გაქრობის ფაქტები საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე... კერძოდ, მარნეულის რაიონში, სადაც უპირატესად აზერბაიჯანელები ცხოვრობენ. და „ნოიან ტაპანის" მონაცემების თანახმად (ღმერთმა უწყის, საიდან არის ეს მონაცემები აღებული — ა. დ.), საქართველოს სამართალდამცველი ორგანოები არ იღებენ სათანადო აქტიურ ზომებს ასეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების აღსაკვეთად, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ორ რესპუბლიკას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებას (აქ, ალბათ, იგულისხმება საქართველო და სომხეთი — ა. დ.).

ამ ინფორმაციის წაკითხვისთანავე მივმართეთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრს, მაგრამ იქ კატეგორიულად უარყვეს იგი.

მაშ, მაინც, რა ვუწოდოთ ამას — „საბჭოთა პროპაგანდის მორიგი მონაჩმახი"? თუ ის, რომ „ვერ მოხერხდა მორიგი პროვოკაციის განხორციელება"? დიახ, ამხანაგო რედაქტორო, ვერ მოხერხდა რადგან, ავტორებმა ვერ გაითვალისწინეს ჩემი ხალხის ფსიქოლოგია, მისი ყოფა და ზნე-ჩვეულებანი, სიბრძნე. ვერ გაითვალისწინეს ის, რომ მარნეულის რაიონის ტერიტორიაზე და საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრები მშვიდი, მშვიდობისმოყვარე აზერბაიჯანელები პირველები არასდროს არ აღმართავენ ხელს მეზობელზე. თანაც, პოლიტიკური ცხოვრების განვითარება გვაიძულებს დღეს ვიყოთ უფრო ფხიზლად და არ ავყვეთ პროვოკაციებს. ცრუ, მოუფიქრებელ მასალებს კი შეუმოწმებელი ფაქტებით, რომლებიც ღმერთმა უწყის, თუ როგორ ხვდება თქვენი გაზეთის ფურცლებზე, სხვას ვერაფერს ვუწოდებთ, თუ არა პროვოკაციულს, რამაც, სხვათა შორის, შეუძლებელია არ მოახდინოს გავლენა გაზეთის, მისი ჟურნალისტთა კოლექტივისა და ხელმძღვანელობის ავტორიტეტზე..

აზიზ დალივალოვი,
აზერბაიჯანელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი.

Tbilisi Institute of International Economic Relations

საერთაშორისო ბიზნესის მაგისტრის პროგრამით სწავლება

ნებისმიერ საგარეო ეკონომიკურ ორგანიზაციაში მუშაობა

თბილისის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ინსტიტუტი

აცხადებს

მსმენელთა მიღებას სპეცფაკულტეტზე 1992-1993 სასწავლო წლისათვის სპეციალობაზე: „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები".

სპეცფაკულტეტზე ჩაირიცხებიან უმაღლესი განათლების მქონე პირები. ჩარიცხვისას უპირატესობა მიეცემათ მათ, ვინც აპირებს საგარეო ეკონომიკურ საქმიანობასა და ფლობს უცხო ენას უმაღლესი სასწავლებლის პროგრამის ფარგლებში.

ვინაიდან სპეცფაკულტეტზე მსმენელთა რაოდენობა შეზღუდულია, მიღება იწარმოებს გასაუბრებისა და უცხო ენაში ტესტირების საფუძველზე.

თბილისის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ინსტიტუტი შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატების სასწავლო ცენტრის „ედვანსდ ედიუქეიშნ სისტემზ ინტერნეიშენალისა" (AESI) და საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროსთან არსებული მმართველობითი კადრების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის მონაწილეობით დაარსებული ბიზნესის უმაღლესი სკოლის ბაზაზე, რომლის საუკეთესო მსმენელებმა სტაჟირება გაიარეს ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტებსა და ფირმებში.

„საერთაშორისო ბიზნესის მაგისტრის" (MIB) პროგრამით გათვალისწინებული საგნების საფუძვლიანი შესწავლა სპეცფაკულტეტის კურსდამთავრებულთ საშუალებას მისცემს იმუშაონ საგარეო ეკონომიკური პროფილის ნებისმიერ ორგანიზაციაში, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. ერთ-ერთი უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) საფუძვლიანად შესწავლას უზრუნველყოფს პროფესორ-მასწავლებელთა მაღალი კვალიფიკაცია და სათანადოდ მომზადებული პროგრამები.

სპეცფაკულტეტის კურსდამთავრებულებს მიენიჭებათ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მენეჯერის კვალიფიკაცია და გადაეცემათ უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი.

სწავლების ვადა-9 თვე. სწავლება ფასიანია.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

1. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
2. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086);
3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;
4. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;
5. ფოტოსურათი (4 ცალი, ზომით 3 x 4);
6. პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას წარმოადგენენ პირადად.

საბუთები მიიღება 28 ივლისიდან 20 აგვისტომდე, 10 საათიდან 15 საათამდე შაბათისა და კვირის გარდა.

გასაუბრება ჩატარდება 27 - 29 აგვისტოს.

ცნობებისათვის მიმართეთ თბილისის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ინსტიტუტს, ქ. თბილისი, ვ.ბერიძის ქუჩა № 6 (საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობის გვერდით), ოთახი № 3, ტელეფონი 93-56-30.

Barcelona'92

ბარსელონაში, ოლიმპიადაზე

სიტყვებს, რომლითაც დაამთავრა თავისი ხანმოკლე გამოსვლა ესპანეთის მეფემ ხუან კარლოსმა XXV ოლიმპიური თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალზე მთელი ბარსელონა და, ცხადია, მასთან ოლიმპიური სტადიონი ფეხზე ამდგარი შეხვდა — თანამედროვეობის XXV ოლიმპიურ თამაშებს გახსნილად ვაცხადებ!

ოთხი წელიწადი ელოდა სპორტული სამყარო ამ დღეს და ისიც მობრძანდა მთელი თავისი ბრწყინვალებით, ჭეშმარიტად დიდი სპორტული დღესასწაულის ღირსეული შესავლის სახით, რომელშიც მონაწილეობს 172 ქვეყნის 10 ათასზე მეტი სპორტსმენი.

ამბობენ, ბარსელონის ოლიმპიადამ ყველა მანამდე არსებულ რეკორდს გადააჭარბაო. ეს მართლაც ასეა, ზარეკორდო აღმოჩნდა თამაშებში მონაწილე ქვეყნებისა და სპორტსმენების რაოდენობა, პრესის, ტელე და რადიო ჟურნალისტთა კორპუსის შემადგენლობა, სარეკორდო გამოდგა ორგანიზატორთა მიერ გაწეული ხარჯები და, თქვენ წარმოიდგინეთ, შემოსავალი რომელიც საორგანიზაციო კომიტეტის ფინანსურ სამსახურს უკანასკნელ ცენტამდე ჰქონია დაანგარიშებულ-გათვლილი.

დღეს აქ ბევრს ლაპარაკობენ იმ 300 მილიონ დოლარზე, რომელიც ბარსელონის აეროპორტის რეკონსტრუქციას დასჭირდა და ოლიმპიური სოფლის მშენებლობაზე დახარჯულ 120 მილიონ დოლარზე. კვირას დილით ესპანეთში გამოსულმა გაზეთებმა სიამაყით აღნიშნეს, რომ XXV ოლიმპიადის საზეიმო გახსნას თვალყურს ადევნებდა 3,5 მილიარდი ტელემაყურებელიო. ესეც, რა თქმა უნდა, ამ თამაშების რეკორდია.

საქართველოს ოლიმპიელთაგან ბრძოლაში სხვებზე უფრო ადრე ჩაებნენ მსროლელი ნინო სალუქვაძე და ძიუდოისტი დავით ხახალეიშვილი. სალუქვაძემ, მოგეხსენებათ, ოთხი წლის წინ, სეულში ერთი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვა, ხახალეიშვილი კი ასეთ მასშტაბურ ასპარეზობაში პირველად ცდის ძალებს და დებიუტანტის კვალობაზე იმედიანად არის განწყობილი...

ელგუჯა ბერიშვილი,
„საქართველოს რესპუბლიკის" სპეციალური კორესპონდენტი „კავკასიის კონცერნის" მივლინებით.

პრემიები — გამარჯვებულებს

ოთხიოდე წლისაა პარიზის ქართულ-ევროპული ინსტიტუტი, რომელიც ჩვენმა თანამემამულემ ბატონმა ჯანრი კაშიამ დააარსა. ყოველწლიურად საქართველოდან პარიზს იგზავნება ქართველ ავტორთა ლიტერატურულ-მეცნიერული ნაშრომები. საუკეთესოებს ენიჭებათ ილია ჭავჭავაძისა და მერაბ მამარდაშვილის სახელობის პრემიები. 1990 წლის პრემიების გადაცემა მოხდა პარიზში, 1991 წლის პრემიების გადასაცემად კი ბატონი ჯანრი თავად ეწვია თბილისს ათწლიანი განშორების შემდეგ. მას თან ახლდა მისი მეუღლე ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ინსტიტუტის დაარსებასა და საქმიანობაში.

პრემიების გადაცემის ცერემონია ამ დღეებში გაიმართა თბილისის კინოს სახლში. სტუმრებს მასპინძლობდა ბატონი ელდარ შენგელაია, საღამოს უძღვებოდა ბატონი ვახუშტი კოტეტიშვილი, რომელიც თავად გახლავთ 1990 წლის ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიის ლაურეატი.

1991 წლის ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიები გადაეცათ ჯემალ აჯიაშვილს — შექსპირის „ლუკრეციას" ინგლისურიდან თარგმნისთვის, ბაჩანა ბრეგვაძეს — „დონ-კიხოტის" ესპანურიდან თარგმნისათვის და დიმიტრი ესაკიას — ესკიზისთვის.

მერაბ მამარდაშვილის სახელობის პრემიები გადაეცათ ლელა პატარიძეს გამოკვლევისთვის „სამყაროს სურათი ადრექრისტიანულ ქართულ მწერლობაში. ცხოვრება წმინდა ნინოისი" და გიგი თევზაძეს — ფილოსოფიური თხზულებისთვის „ჩვენი დრო". პრემიის მფლობელებს აგრეთვე უნდა გადასცემოდათ მედლები, რომლებსაც პარიზში ამზადებს ბატონი გუჯი ამაშუკელი, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო მედლების საქართველოში ჩამოტანა ვერ მოხერხდა. ალბათ, ლაურეატებს ამ ჯილდოს მისაღებად პარიზში მიიწვევენ.

ბატონი ჯანრი კაშია პარიზში არსებული ქართული ჟურნალის „ივერიის" რედაქტორია. მან საღამოზე შეკრებილთ ამცნო, რომ ამ ჟურნალზე ხელმოწერები ახლო მომავალში გავრცელდება საქართველოში. ასე რომ, ქართველებს საშუალება მოგვეცემა ჩვენი წვლილი შევიტანოთ ქართულ-ევროპული ინსტიტუტის საქმიანობაში.

კრიმინალური ქრონიკა

გასული დღე-ღამის განმავლობაში რესპუბლიკაში რეგისტრირებულია 24 სისხლის სამართლის დანაშაული. მოხდა 5 მკვლელობა, 5 ყაჩაღობა, 5 სახელმწიფო და პირადი ქონების ქურდობა, 8 ავტოავარიაში დაიღუპა 8 ადამიანი.

ოზურგეთის რაიონის სოფელ ასკანაში ოთხი დაუდგენელი ბოროტმოქმედი თავს დაესხა ლეონიდე ცქვიტიძის საცხოვრებელ ბინას. მათ იარაღის მუქარით ხელ-ფეხი შეუკრეს მასპინძელს და გაიტაცეს 1700 მანეთი ფული, ოქროს სამკაული, სანადირო თოფი, მაგნიტოფონი, ტანსაცმელი და სხვადასხვა ნივთები.

ყვარლის რაიონის სოფელ ენისელში ბოროტმოქმედებმა გაქურდეს მზია ჩაბრაშვილის საგარაკო ბინა, საიდანაც წაიღეს მაცივარი და ტელევიზორი. მილიციის მუშაკებმა გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დააკავეს ენისელის მე-2 პროფსასწავლებლის მოსწავლეები ბესიკ გურგენიძე და ბესიკ კიკნაძე.

ნანა მაყაშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალისტთა დამოუკიდებელ კავშირში

საერთო ევროპული სტრუქტურების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გასაცნობად, წელს, 1 ოქტომბრიდან 28 ნოემბრამდე არის საშუალება გერმანიაში გაიგზავნოს ორი ჟურნალისტი. გერმანიაში ყოფნის პროგრამას აფინანსებს ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის ფედერალური უწყება. ნავარაუდევია, რომ მგზავრობის მონაწილენი 1-დან 14 ოქტომბრამდე ევროპის გაერთიანების (ბრიუსელი, პარიზი) დაწესებულებებში იქნებიან, ევროპის თანამეგობრობის ბიუჯეტის ხარჯზე.

ამ ორთვიანი მგზავრობის აუცილებელი პირობაა — გერმანული ენის ცოდნა, სულ ცოტა სამი წლის ჟურნალისტური მუშაობის გამოცდილება და ასაკი არა უმეტეს 35 წლისა.

მსურველებმა არა უგვიანეს 5 აგვისტოსი უნდა მიმართონ საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალისტთა დამოუკიდებელ კავშირს და თან იქონიონ ჟურნალისტთა პირველადი ორგანიზაციის სარეკომენდაციო წერილი და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრობის წიგნაკი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი სამძიმარს უცხადებს უნივერსიტეტის გამომცემლობის საპატიო დირექტორს ვალერიან გამყრელიძეს მეუღლის და უნივერსიტეტის პროფესორებს რევაზ და თამაზ გამყრელიძეებს დედის

ოლიმპიადა ერასტის ასული ასათიან-გამყრელიძის

გარდაცვალების გამო.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-73-24.

[illegible]

[illegible] ქ. № 28.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. [illegible]